სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 8 ივლისი 2003 №125 (1896) | ფასი 50 თეთრი

შუშაკი გადაიდო

გახოკიძეს დინამოს ასოციაცია იწვევს

ევროპაში სატრანსფერო სეზონი დაიწყო და ისე როგორ იქნებოდა, ერთი-ორ ქართველ ფეხბურთელსაც არ გამოეცვალა კლუბი.

ზურაბ ხიზანიშვილის რეინჯერსული ტრანსფერი უკვე წარსულში შეგვიძლია მოვიხსენოთ, გიორგი ქინქლაძისა კი ახლო მომავლის საქმეა. ხოლო გუშინ ორმა ქართველმა გამოიცვალა მისამართი: „პსვ ეინდჰოვენიდან" წასული გიორგი გახოკიძე შორს არ წასულა, ჰოლანდიაშივე დარჩა და „ტვენტეს" შეეკედლა. „ტვენტე" ბოლო ხანს დიდი ვერაფერი გუნდია, თუმცა თავის დროზე თბილისის „დინამოს" პირველი მეტოქე იყო ევროთასზე.

გუშინვე საბოლოოდ გადაწყდა მიხეილ აშვეთიას „ალანიადან" მოსკოვის „ლოკომოტივში" გადასვლა. მართალია, კონტრაქტი გუშინ საღამოს ჯერაც ხელმოუწერელი იყო, მაგრამ შეთანხმება იმდენად მყარია, ტრანსფერი დასრულებულად, ხოლო აშვეთია ასათიანის თანაგუნდელად შეგვიძლია მოვიხსენიოთ.

ჩვენ კი ქართველ ლეგიონერთა ამბავი უპირველესად იმის გამო გვაინტერესებს, საქართველოს ნაკრებს როგორ წაადგება. აქ კი უპრიანია გავიხსენოთ, რომ ეროვნული გუნდი ჯერაც უმწვრთნელოდაა და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზეც, 10 ივლისს, ამ თემაზე მსჯელობა არ იქნება.

აბა, როდის? ფედერაციაში ამბობენ, 15 ან 17 ივლისს, როცა ივო შუშაკიც თბილისში იქნებაო.

ალბათ უფრო 17-ში, რაკი წინა დღეს „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ტირანასთან" აქვს თამაში და შუშაკს აღმასკომისთვის აბა, როგორ ეცლება.

აშვეთიას მოსკოვში ხმის გამცემიც ეყოლება და ბურთის მიმცემიც



გურამ [illegible] ფოტო

დედმამიშვილებს გაუმარჯოს!

სადღეგრძელოებში ხომ ვართ ჩემპიონები?!

ეს სპორტული უქმეები რაღაც დამთხვევით დედმამიშვილური გამოდგა — აქეთ სერენა და ვინუს უილიამსებმა გადაჯეჯეს უიმბლდონის სეფეკონდარი და ყველა სხვა მეტოქე იქით მიხაელ და რალფ შუმახერებმა იგელვეს სხვებზე უსწრაფესად საფრანგეთის დიდი პრიზისთვის რბოლაში.

დამთხვევაო, კი ვთქვით, მაგრამ, რა ხანია, ამ ფეთიანი გერმანელების და ზანგი დევგოგოების დიდი გამარჯვებების ქუხილი აზანზარებს სპორტულ სამყაროს. ფორმულა 1-ში სულ ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლებიან ხეირიანი მრბოლები და აქედან ორნი ერთმანეთს ძმებად მოუდიან. უფროსი შუმი აქამდე ერთადერთი იყო, მაგრამ, დახეთ, როგორ წამოპარვია უმცროსი და მასზე მეტად მონდომებული ძამიკო! წამოპარვია კი არა, რალფმა ზედიზედ მეორე დიდი პრიზი მოიგო და მიხაელს ზედ ბოლიდის კუდზე დააჯდა.

REUTERS მაქს [illegible]

სერენამ და ვინუსმა ხომ კარგა ხანია, გაისიგრძეგანეს რავინდარა კორტები, ქალთა ჩოგბურთში მარტონი თარეშობენ და ყოველი სლემფინალი ამათი დურ-მტრული შეხლისთვის ივარაუდება. უიმბლდონის მთავარი პრიზი კი წლეულსაც უმცროსმა დაიკომ, სერენამ დაიჩემა.

უეჭველია საჩემპიონო შამპანური ერთგანაც და მეორეგანაც ოჯახურ სიამტკბილობაში ჩატრიალდებოდა, მაგრამ ჩვენ ჩვენებური სუფრის იქით გადავიხედოთ — საინტერესოა, დედმამიშვილების სადღეგრძელო თუ შესვეს შუმახერიანთ და უილიამსიანთ ოჯახებში? თუ არ შესვეს და არაფერი დაუშავდებათ, შამპანური ისედაც სულ მავათი არ არის!

REUTERS [illegible]

გახოკიძე ტვენტეში წელს გამართავს ზუსტად ერთ წელს

ახალ სეზონს გოგა გახოკიძე ჰოლანდიურ „ტვენტეში“ დაიწყებს. გუშინ ქართველმა ნახევარმცველმა ამ კლუბთან გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი.

გოგა გახოკიძემ სეზონის დასრულებისთანავე რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილი გუნდისგან მიიღო წინადადება, თუმც არ აჩქარებულა, ჯერ რუსეთში თამაში იუარა, მერე თურქეთსა და ისრაელში, ბოლოს კი ჰოლანდიური „ტვენტე“ და „როზენდალი“ დარჩა. ერთკვირიანი ფიქრის შემდეგ გოგამ არჩევანი „ტვენტეს“ სასარგებლოდ გააკეთა.

— ვფიქრობ, ჩემი კარიერისთის სწორი ნაბიჯი გადავდგი. „ტვენტე“ ჰოლანდიაში კარგ გუნდად ითვლება. არჩევანით კმაყოფილი ვარ. მართალია, სხვა ქვეყნებში, თანაც უკეთესი პირობებით მეპატიჟებოდნენ, მაგრამ რომ დავფიქრდი, „ტვენტე“ ვამჯობინე. ასე აჯობებს ჩემი ოჯახისთვისაც. ერთ სეზონსაც ჰოლანდიაში გავატარებ, მერე კი ვნახოთ, ალბათ თამაშს უკეთეს გუნდში განვაგრძობ — გვითხრა გუშინ გოგა გახოკიძემ.

„ტვენტე“ ჰოლანდიის ჩემპიონატში მე-12 ადგილზე გავიდა და



გიორგი ჯიშკარიანი, „ფოტო“

წლეულს ევროთასებს მიღმა დარჩა. ქართველებისთვის კი ეს გუნდი გამორჩეულიცაა — 1972 წელს სწორედ „ტვენტე“ იყო თბილისის „დინამოს“ პირველი მეტოქე ევროპულ სარბიელზე.

კოგა ინასარიძე

ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავთ, შესაძლოა, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია უკვე მოსკოვის „ლოკომოტივის“ წევრი იყოს. რუსეთის ჩემპიონსა და მას შორის მცირე დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი.

გუშინ მიხეილ აშვეთიას მოსკოვში, „ლოკომოტივის“ საწვრთნელ ბაზაზე დავუკავშირდით...

აშვეთიას საიდუმლო ლოკომოტივი ყოფილა

ოსს ვინ ჰკითხავს, რუსს თუ უნდა?!

— დღეს გუნდთან ერთად ვივარჯიშე. ყველაფერი კარგადაა, მშვენიერი ბაზა, პირობები... მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ.

— „ლოკომოტივთან“ ხელშეკრულება ჯერ არ გაგიფორმებია...

— ხვალ კლუბის პრეზიდენტს შევხვდები და ეს საკითხიც გადაწყდება. ფილატოვი იტალიაში იყო საქმიანი ვიზიტით. როგორც მითხრეს, ხვალ დაბრუნდება.

— ისე ჩანს, თითქოს უკვე შეთანხმებულიც ხარ რკინიგზელებთან...

— პირობებზე გასარკვევი არაფერია. ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. მხოლოდ მცირე დეტალებიღა დარჩა. თავს უკვე ლოკომოტიველად ვთვლი.

— „სპარტაკ-ალანიას“ პრეზიდენტმა ტაკოევმა განაცხადა, აშვეთიას ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს და მის გაშვებას არ ვაპირებთო...

— სისულელეა. „სპარტაკ-ალანიას“ უკვე არავინ ეკითხება ჩემს ტრანსფერს. აქ მთავარი დანიური „კოპენჰაგენია“, რომლის კუთვნილებაც ვარ დღემდე.

— დანიაშიც ყოფილხარ...

— კი, კოპენჰაგენში ახლახან ვიყავი. „კოპენჰაგენი“ თანახმაა, „ლოკომოტივში“ გადავიდე.

— რუსები შენს შეძენას აპირებენ თუ ისევ განათხოვრებაზეა ლაპარაკი?

— „ლოკომოტივს“ ჩემი ყიდვა სურს და საწინააღმდეგო ალბათ, არც „კოპენჰაგენს“ ექნება.

— რამდენწლიან კონტრაქტზე შეთანხმდით?

— ეს ხვალ მეცოდინება, როცა ვალერი ფილატოვს შევხვდები.

— მთავარ მწვრთნელ იური სიომინს ელაპარაკე?

— რა თქმა უნდა. მითხრა, შენი ძალიან მეიმედებაო. ერთი სიტყვით, საკმაოდ თბილად მიმიღო.

ალექსანდრე ბოლკვაძე, „ფოტო“

— პირობებზე შევთანხმდითო, თქვი — ბაზაზე იცხოვრებ?

— ჯერჯერობით ასე იქნება, მერე კი, ალბათ, ბინასაც მომცემენ.

— ადრე გვითხარი, ერთი ვარიანტი მაქვს, რომელსაც მანამ არ გავამხელ, სანამ იმ კლუბში არ გადავალო. „ლოკომოტივი“ იყო ის „დამალული“ კლუბი?

— კი. სწორედ „ლოკომოტივს“ ვგულისხმობდი მაშინ.

ქაჯა შალამბერიძე

ერთხელ რეინჯერსელი ყოველთვის რეინჯერსელია

ზურას რეინჯერსელი გოლი შოთაზეა

— რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ ზურაბ ხიზანიშვილი რეინჯერსელი გახდა?

ხიზანიშვილი: დიდ საფეხურზე შევდგი ფეხი — „რეინჯერსი“ დიდი გუნდია და იქ ჩინებული ფეხბურთელები თამაშობენ. ჩემთვის „რეინჯერსში“ თამაში ძალიან ბევრს ნიშნავს.

არველაძე: არის ასეთი აიბროქსული გამოთქმა — ერთხელ რეინჯერსელი ყოველთვის რეინჯერსელია. პირადად ჩემთვის კი ზურას რეინჯერსელობა იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი ქართველი მოხვდა დიდ გუნდში, მეგობრები ვართ და ერთ გუნდში ვითამაშებთ და ისიც, რომ ხიზანიშვილის სახით „რეინჯერსმა“ კიდევ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი შეიმატა.

— „რეინჯერსი“ უპლეიმეიკეროდ, სამი საყრდენით თამაშობს და ალექს მაკლიშს სურს, რომ ხიზანიშვილი საყრდენად გაამწესოს — როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი გუნდის ნახევარდაცვა?

ხიზანიშვილი: თუ მაღალი კლასის პლეიმეიკერია გუნდში, ამას რა სჯობს, მაგრამ ასეთები თითებზე ჩამოსათვლელია. ჩვენ ჩვენებურად ვითამაშებთ.

არველაძე: ზოგადად რომ ვთქვათ, ასეა — გუნდში ყველას თავის ფუნქცია აქვს და ტაქტიკა იმის მიხედვით შეირჩევა, თუ რა ფეხბურთელები არიან გუნდში.

— ზურა, „დანდიში“ ორი სეზონი ისე გაატარე, გოლი არ გაგიტანია. ნავსი ალბათ „რეინჯერსში“ უნდა გატეხო — თანაც მცველად აღარ მოგიწევს თამაში...

ხიზანიშვილი: „დანდიში“ გოლი რომ ვერ შევაგდე, ალბათ, მხოლოდ იმის ბრალი არაა, რომ მცველად ვთამაშობდი. როგორც ჩანს, საგოლე ადგილი არ მივარგა...

არველაძე: ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ზურა ადრე თუ გვიან „რეინჯერსისთვის“ აუცილებლად გაიტანს. თუ არა და, მე გავარტყამ ბურთს და ისე გავატანინებ.

— *მოკალეობის ყამს შოთას უფრო სახლში ჯდომა უყვარს, ზურას კი პირიქით. თავისუფალი დროის ერთად გატარება გლაზგოში, ალბათ, ადვილი არ იქნება...*

ხიზანიშვილი: „დანდიში“ ყოველთვის ერთად ყოფნას ვერც მე და გია ნემსაძე ვახერხებდით. ასაკში სხვაობა თავისას შვრება, თანაც მე გიასგან და შოთასგან განსხვავებით დაოჯახებული არა ვარ, მაგრამ



„მანჩესტერ სიტი“, „ფრაიბურგი“, „გრასჰოპერი“, „ალანია“ — რამდენიმე ქართველ ლეგიონერს ერთ კლუბში რომ უთამაშია, არახალია და ეს ტრადიცია გრძელდება — შოთა არველაძის „რეინჯერსს“ ამას წინათ ხომ ზურაბ ხიზანიშვილი შეუერთდა.

ქართველი აიბროქსელები კვირის ბოლოს დატოვებენ თბილისს და გლაზგოში ჩავლენ. მერე „რეინჯერსი“ შეკრებას გერმანიაში, ნიურნბერგში მოაწყობს.

არველაძე და ხიზანიშვილი თბილისში ყოფნისას ხან „დინამოს“ დიღმის ბაზაზე ვარჯიშობდნენ, ხან „ლოკომოტივზე“. გუშინ კი ისინი ერთობლივი ინტერვიუსთვის ვაკეში მოვიხელთეთ

რაღაცას ერთადაც მოვახერხებთ.

არველაძე: არცთუ ისე სულ სახლში მჯდომი კაცი ვარ. საღამოობით წყარ, მშვიდ ადგილას მიყვარს ხოლმე წასვლა, ვთქვათ, რესტორანში.

— გლაზგოს ბაირამცენტრი სად არის?

არველაძე: არის ასეთი გასართობი კომპლექსი — „ტაიგერ ტაიგერი“, კიდევ „ქუ“ და „მანკი ბარი“, სადაც ისე თვრებიან, რომ მაიმუნებს ემსგავსებიან.

— გლაზგოელი ქალები იქაური კლიმატივით ცივები არიან?

არველაძე: არა, კარგი ხალხია, კარგი ხასიათით და კარგი იუმორით.

ხიზანიშვილი: გლაზგოელ გოგონებთან ადრეც მქონდა ურთიერთობა, მაგრამ მათ ქართველებივით მოხდენილი იუმორი მაინც არ აქვთ.

— „რეინჯერსში“ ორი ქართველია — გასამებაზე რა აზრის ხართ? სამი ქართველი მეტისმეტი ხომ არ იქნებოდა?

არველაძე: თუ კიდევ ვინმე ამას დაიმსახურებს, თან წავიყვანთ, თორემ ჩაწყობა არ გამოვა.

ხიზანიშვილი: თუ „რეინჯერსი“ კიდევ ერთ ქართველს აიყვანს, ძალიან კარგი იქნება. მაგალითად, ჰოლანდიელი ფეხბურთელები „რეინჯერსში“ საკმაოდ მრავლად არიან, ასე რომ, ქართველების სიჭარბე ხელს არაფერს შეუშლის.

— უკვე გადაწყვეტილია, სად იცხოვრებს ახალი ქართველი რეინჯერსელი გლაზგოში?

ხიზანიშვილი: გლაზგოში რომ ჩავალ, ბინას მერედა ავირჩევ, მანამდე კი სასტუმროში ვიქნები.

არველაძე: ზურას სასტუმროში კი აწყობს, მაგრამ პირველ ხანებში ჩემთან იქნება.

— ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ერთი საკვალიფიკაციო ეტაპი უნდა დაძლიოთ. დამდეგ სეზონში „რეინჯერსი“ რომელიმე შოტლანდიურ ტიტულს ალბათ მოიგებს, მაგრამ თუ გუნდი ლიგაში ვერ მოხვდა, მისი სქოთური ჯილდომონაგარი თქვენთვის გაუფერულდება?

არველაძე: რა თქმა უნდა, ძალიან გულდასაწყვეტი იქნება, თუ ჩემპიონთა ლიგაში ვერ ვითამაშებთ. საამისოდ უზარმაზარი მოტივაცია გვაქვს.

ხიზანიშვილი: პირადად ჩემთვის ნებისმიერი შოტლანდიური ტიტული დიდი წარმატება იქნება. ძველი რეინჯერსელები კი შოტლანდიური ტიტულების მოგებას უკვე შეეჩვივნენ. ასე რომ, თუ ლიგაში ვერ მოხვდებით, ალბათ, ისე ძალიან არ დამწყდება გული, როგორც მათ.

დავით თავართქილაძე

შვედეთი

XIII ტური

ელფსბორგი 1:2 მალმიო

გიოტებორგი 0:2 აიკ

დინამოს ქართველები და ჯორჯიელები გაუტკბა

საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ ამ უქმეებზე ორი ამხანაგური მატჩი გამართა. შაბათს ჩვენები მიუნხენიდან 30-კილომეტრის მოშორებით „მიუნხენს“ შეხვდნენ და 1:2 დამარცხდნენ, კვირას კი სამოყვარულო „ფროიდენჰაიმს“ წაეთამაშნენ და რვა უპასუხო გოლით მოუგეს

შუშაკს სტუმარ-მასპინძელი არ წაუკითხავს

ბურდულს ჯინაღამ ხაცი შემოაპვდა

„მიუნხენთან“ შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. რამდენიმე ათას ქომაგთან ერთად მატჩს ბევრი ჟურნალისტი და სპეციალისტი დაესწრო. იყვნენ აგენტები და კლუბების წარმომადგენლები. „დინამოს“ თამაში და მომზადების დონე ყველას მოსწონებია და ჩვენებისთვის გარჯა შეუქიათ.

ორივე გუნდმა, შეთანხმებისამებრ, ძირითადი შემადგენლობებით ითამაშა, გზადაგზა კი მწვრთნელებმა სხვა ფეხბურთელებიც გამოსცადეს.

მიუნხენი: ჰოფმანი (ლენცი 46), გიორლიცი, კურცი (შტრანცლი 34), ტისი, ჩერნი (ვიზინგერი 66), შვარცი, ლემანი (მეიერი 46), ვაისენბერგერი (შაო 74), ლაუტი (შროტი 46), ავოსტინო (პიურკი 60).

დინამო: ზოიძე (გვარამაძე 46), ხიზანეიშვილი, შაშაშვილი, ამისულაშვილი (კანდელაკი 65), ბურდული (ეჭონა 77), გოგობერიშვილი (წერეთელი 65), დარასელია (კოვაჩი 70), კვირკველია (სახვაძე 65), ანჩაბაძე (სამხარაძე 65), იაშვილი (ბობოხიძე 65), ახალაია (ლაკჩი 75)

გერმანელები მატჩის დასაწისშივე დაწინაურებულან. საჯარიმოდან ჩერნის ჩაწოდებულისთვის დაახლოებით პენალტის ნიშნულთან კურცს თავი შეუგებებია. ბურთს უჩვეულო ტრაექტორია მოუხაზავს და მეკარის ზურგს უკან ჩაშვებულა, ისეთი გოლი ყოფილა, 100 დარტყმულიდან ერთი რომ გადის. ეს მე-3 წუთზე მომხდარა, ტაიმის დარჩენილი 42 წუთი კი „დინამოს“ უპირატესობით წარმართულა. მასპინძლებს შესვენებამდე ზოიძის შეწუხება მხოლოდ ერთხელ მოუხერხებიათ, როცა იმავე კურცის პასისთვის ლაუტს მიუყოლებია ძლიერი დარტყმა, მაგრამ ზოიძეს უკარგია. ჩვენების მომენტებს კი თურმე თვლა არ ჰქონდა. ჯერ კვირკველიას მეკარისთვის შეუტოვებია ახალაია, რომლის დარტმულიც ჰოფმანს მოუგერიებია, მერე კვირკველიას ჩაწოდებულს ისევ ახალაია გამოხმაურებია, მაგრამ ბურთს ხეირიანად ვერ შესწვდენია. ყოფილა დარასელიას ორი სახიფათო ჯარიმა, ერთი მცველს გამოუტანია კარიდან, მეორე — მეკარეს. ბურდულის ორი უძლიერესი დარტყმის შემდეგ კი მასპინძელთა კაპიტანი კურცი გამხდარა შესაცვლელი. ჩვენიანის დარტყმულს კურცი კარის ხაზთან გადაელობა და ბურთი სახეში მოხვდა, ბურდულისვე დამატებული კი მასვე მკერდში მოხვდა და ეჭიმებმა ძლივს მოასულიერეს, თუმც კურცმა თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, „დინამომ“ მეორე გოლი რომ გაუშვა. მოედნის ცენტრიდან ბურთიანად დაძრული ვაისენბერგერის შეჩერება ჩვენებს მხოლოდ საკუთარ საჯარიმოში მისი წაქცევით მოუხერხებიათ, პენალტი კი თავადვე გაუტანია. ვაისენბერგერის გოლს თურმე დარასელიას კუთხური მოჰყვა, ბურთი ხარიხას მოხვდა, წუთში კი ანჩაბაძე-დარასელიას გათამაშებულ კუთხურს ამისულაშვილმა მიაყოლა დარტყმა და სხვაობაც შეამცირა. შემდეგ შაშიაშვილს გრძელი პასით იაშვილი დაუტოვებია მეკარესთან პირისპირ, ლენცს უყოჩალია. ახალაია ამატებდა, მაგრამ მეკარეს მხსნელად შტრანცლი მოევლინა და „მიუნხენიც“ გადარჩა. სულ ბოლოს კი „დინამოს“ ანგარიშის გათანაბრების ჩინებული შანსი ჰქონია, ლაკიჩი მეკარის ცხვირწინ დარჩენილა, გასცდენია კიდეც ლენცს და ის იყო, ბურთი კარში უნდა შეეგორებინა, რომ მეკარემ ხელი გაშალა და „დინამოს“ სტუმარს არ გაატანინა.

სტუმარი ლაკიჩიო, ვთქვით და თბილისელებთან ათი დღე მოვარჯიშე სერბი ლაკიჩი, ისევე როგორც სლოვაკი კოვაჩი და არგენტინელი ფრედერიკო, მართლაც სტუმრები გამოდგნენ — „დინამოს“ მწვრთნელმა ივო შუშაკმა საჭიროდ არ ჩათვალა ამ ფეხბურთელების გუნდში დატოვება და დღეს-ხვალ სამივეს გაისტუმრებს. შუშაკი ალბათ მათ გზას გაუყენებს ბრაზილიელ ტესერსაც, რომელიც სულ სამიოთხი დღეა გუნდთან ერთადაა, მაგრამ, ეტყობა, „დინამოს“ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

„მიუნხენ“ — „დინამოს“ მატჩის შემდეგ მწვრთნელთა პრესკონფერენციაც გაიმართა.

ფალკო გოიტკი: ძალიან კარგი, სანახაობრივი მატჩი იყო. გაოცებული ვარ ქართველი ფეხბურთელების ტექნიკითა და დრიბლინგის უნარით. არ დავმალავ, დღევანდელი მოგებით გავიხარე, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგური იყო. „დინამომ“ ჩვენი გუნდის ბევრი ნაკლი დაგვანახა და სეზონის დაწყებამდე ამის გამოსწორებაზე ვიმუშავებთ.

ივო შუშაკი: ძლიერი მეტოქე გვყავდა. ახლა მოსამზადებელი პერიოდია და ფეხბურთელები ნელ-ნელა უმატებენ, დღეს, ვფიქრობ, სტადიონზე მყოფთაგან ყველა დარწმუნდა ჩვენს შესაძლებლობებში.

„მიუნხენთან“ შეხვედრის მეორე დღეს „დინამო“ უკვე ორი შემადგენლობით „ფროიდენჰაიმს“ ეთამაშა და ისევე როგორც წინა ორი სამოყვარულო გუნდი, ისიც დიდი ანგარიშით დამარცხა. რვა გოლიდან ორ-ორი გაიტანეს ფრედერიკომ და ანჩაბაძემ, თითო წერეთელმა, ლაკჩმა, ახალაიამ და გოგობერიშვილმა. შემადგენლობები ასეთი იყო: *I ტაიმი — მამალაძე, ეჭონა, კანდელაკი, წერეთელი, სახვაძე, სამხარაძე, ტესერი, კოვაჩი, ფრედერიკო, ლაკჩი, იაშვილი. II ტაიმი — მამალაძე, შაშაშვილი, ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი, კვირკველია, სახვაძე, გოგობერიშვილი, ბურდული, ანჩაბაძე, ახალაია, ლაკჩი.*

მწვრთნელმა მიკროტრავმებისა თუ გადაღლის გამო „ფროიდენჰაიმთან“ ზოიძე, გვარამაძე, ბობოხიძე და დარასელია დაასვენა. ბრაზილიელი კარლოსი კი, რომელმაც რუიტულ შეკრებაზე დააგვიანა და გუნდს პარასკევს შეუერთდა, სათამაშო ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს, გუშინდლამდე ის ცალკე, ფიზმომზადების მწვრთნელ ავთო ბერიძის მეთვალყურეობით ვარჯიშობდა, ახლა კი გუნდთნ ერთადაა და შესაძლოა, დღეს „ულმის“ წინააღმდეგ ითამაშოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდისთვის მისი მომზადების დონე დამაკმაყოფილებელზე ოდნავ უარესია. როგორც „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გვითხრა, კარლოსი ბრაზილიაში ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, რაც რუიტში გუნდის მწვრთნელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს „დინამოს“ ახალწვეული ლევან მელქაძეც. კვლავ თბილისშია და ხერხემალს მკურნალობს რატი ალექსიძე. მისი თამაში 16 ივლისს „ტირანას“ წინააღმდეგ გამორიცხულია.

რუიტში „დინამოს“ ორი ამხანაგური მატჩი დარჩა ჩასატარებელი. დღეს „ულმს“ ეთამაშება, 10-ში კი ერთ-ერთ სამოყვარულო გერმანულ გუნდს. თბილისელები შინ შაბათს დაბრუნდებიან.

კოტა ინასარიძე

ივო შუშაკმა უცხოს შინაური არჩია

„ვიტ ჯორჯიას“ მთავარმეგოლე, მეთოთხმეტე ჩემპიონატში 20 გოლის გამტანი ლევან მელქაძე შაბათს ავსტრიის ავიარეისით თბილისიდან გაფრინდა. ლევანს იმ დღესვე გერმანიაში შეკრებაზე მყოფი „დინამო“ და მისი თავკაცი ელოდნენ. ივო შუშაკს ადრეც არაერთხელ უქია ვიტელთა მეგოლე, ეროვნული გუნდის კანდიდატადაც სულ მოიხსენიებდა. ხორვატმა მელქაძის გადაბირების სურვილი ადრეც გამოთქვა, თუმც მაშინ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

გერმანიაში შუშაკი ორი უცხოელი ფორვარდის იმედად ჩავიდა, მაგრამ მისი იმედები ვერც სერბმა და ვერც არგენტინელმა ვერ გაამართლეს. ჰოდა, შუშაკმაც მელქაძე დაიჟინა და კვირას საწადელიც აისრულა. ლევანი უკვე მისი მითითებით ვარჯიშობდა.

— მოხარული ვარ, რომ „დინამოში“ ჩავირიცხე. აქ თამაში ყველა ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა. ვეცდები, თავდაუზოგავად ვიშრომო, მწვრთნელსაც გავუმართლო და კლუბსაც მიზნის მიღწევაში დავეხმარო.

„დინამოში“ თითქმის ყველას დიდი ხანია ვიცნობ. ამიტომ გუნდთან და ბიჭებთან შეგუება არ გამიჭირდება. ძირითადში მოხვედრა ადვილი არ იქნება, მაგრამ მე ჩემსას ვეცდები და დავამტკიცებ, რომ გოლის გატანა „დინამოსთვისაც“ მეხერხება“ — ასეთი იყო მელქაძის პირველი კომენტარი პირველი ვარჯიშის შემდეგ. შუშაკმა ახალწვეული ცალკე, ბრაზილიელ კარლოსთან ერთად ავარჯიშა, ხოლო გუშინ ლევანი უკვე გუნდთან ერთად იწვრთნებოდა.

გერმანიიდან თბილისში დაბრუნდეთ და „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცებს ის ვკითხოთ, თუ რა პირობით დაუთმეს კლუბის ბომბარდირი და ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი „დინამოს“. მათი განცხადებით, ორ კლუბს შორის სიტყვიერი შეთანხმება მიღწეულია, დინამოელებთან თითქმის ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, მელქაძის ტრანსფერს ოფიციალური ხელმოწერაღა აკლია. საკონტრაქტო პირობებს და ხელშეკრულების ხანგრძლივობას, ალბათ, ამის შემდეგღა გაგვიმხელენ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ლევან მელქაძე რიგით მესამე ფეხბურთელია, ვინც „დინამომ“ „ვიტ ჯორჯიასგან“ გადაიბირა. პირველი ნახევარმცველი ალეკო გოგობერიშვილი იყო, რომელმაც „დინამოს“ მაისურა ხელმეორედ 2002 წლის გაზაფხულზე მოირგო. მანამდე მას ცხონებული დავით ყიფიანის გუნდში უთამაშია, სადაც აწ უკვე ისტორიად ქცეული „მერანიდან“ გადავიდა. მეორე კი ცხრამეტწლამდელთა გუნდის ფორვარდი სანდრო იაშვილი გახლდათ, ვინც საჩემპიონატო ნათლობა სწორედ „ვიტ-ჯორჯიაში“ მიიღო.

გამუკა ძვანტალიანი

აწ უკვე ექსვიტელი ლევან მელქაძე (შუაში) დინამოელი კარლოსის თანაგუნდელი გახდა

თბილისის „ლოკომოტივი" გერმანულ შეკრებაზე 12 ივლისს გაემგზავრება. იქ წამსვლელ ფეხბურთელთა სია წინა დღეს გახდება ცნობილი, მანამდე კი რამდენიმე სატრანსფერო საკითხია გასარკვევი

ლოკომოტივი ტივივით ნელა იკვრება

დღეს ხომერიკის ჯერია

ჯერაც ბურუსითაა მოცული თურქული „ქოჯაელიდან" წამოსული რევაზ ქემოკლიძის შესაძლო ლოკომოტიველობა. კიდევ ერთი მცველის, ირაკლი ვაშაკიძის „დინამოდან" „ლოკომოტივში" განათხოვრება კი რთული საქმე არ უნდა იყოს.

რკინიგზელთა გუნდში დაიწყო ვარჯიში დინამოელმა ნახევარმცველმა გიორგი მინწკავამ. მოგეხსენებათ, „დინამოს" უფროსობა ახლა გერმანიაშია და დართავენ თუ არა მანწკავას „ლოკომოტივში" თამაშის ნებას, მომავალის საქმეა.

გერმანულ „ფიურტთან" კონტრაქტდამთავრებული გიორგი დეკანოსიძე „ლოკომოტივს" კი სურს, მაგრამ ფეხბურთელი ამ დღეებში გერმანიაში დაბრუნდება და შესაძლოა რომელიმე იქაურ კლუბში მოხვდეს. თუ დეკანოსიძეს ეს არ გამოუვა, მაშინ ალბათ ლოკომოტიველი გახდება, თუმც ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელით მისი ყოფილი კლუბი „ვიტ ჯორჯიაცაა" დაინტერესებული.

დამდეგ სეზონშიც ლოკომოტიველი იქნება დავით სირაძე. რაც შეეხება გიორგი ლომაიას, ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეროვნულის მეკარე „ლოკომოტივს" გერმანულ შეკრებაზე გაჰყვება.

დღეს კი „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობას შვეიცარიიდან დაბრუნებული ლევან ხომერიკი უნდა შეხვდეს და თუ მხარეები პირობებზე შეთანხმდებიან, ბათუმელის „ლოკომოტივში" ჩარიცხვას წინ არაფერი უდგას.

დავით თავგართქილაძე



სად წავა გიორგი დეკანოსიძე?

ვასილ გიგიაძე შალიმოვს მოუვიდა, ელისტას მიუვიდა

სიმფეროპოლის „ტავრიადან" აბარგებული ვასილ გიგიაძე ელისტის „ურალანში" ჩარიცხა და მალე რუსულ პრემიერლიგაში ითამაშებს. 26 წლის ქართველმა ნახევარმცველმა უკვე მიაღწია ახალ კლუბთან შეთანხმებას.

უკრაინის ბოლო ჩემპიონატში ათი გოლის გამტანი გიგიაძე „ურალანის" მწვრთნელ იგორ შალიმოვს ერთ-ერთი მატჩისას მოსვლია თვალში, სიმფეროპოლურ კლუბთან მოლაპარაკებებიც დაუწყია. და ეს ამბავი მალეც გასრულდა.

„ურალანი" რუსეთის ჩემპიონატში დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. პრემიერლიგის პირველი წრე უმეტესად სატურნირო ცხრილის ფსკერზე გაატარა, თუმც ბოლო ტურებში გამოფხიზლდა და ორი ორსახელა გუნდი — „ტორპედო-მეტალურგი" და „სპარტაკ-ალანია" ჩამოიტოვა.

ელისტელთა უმთავრესი მიზანი სწორედ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაა და საამისოდ იგორ შალიმოვი დიდ იმედებს ჩვენებურზეც ამყარებს.

აქვე გეტყვით, რომ გიგიაძის გაყიდვა უკრაინელებსაც აძლევდათ ხელს, რადგანაც 2003 წლის ბოლოს ქართველი ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი ხდებოდა.

კახა შალამბერიძე



ბაბილი ბერეკაშვილის ფოტო

ვასილ გიგიაძე „გაყალმუხდა"

კვარაცხელიას მეორე წრე: გერმანია გივის ცაკარიასი მიხედავს

ბაბილი ბერეკაშვილის ფოტო

გივი კვარაცხელია „ლოკომოტივს" საბოლოოდ გაეყარა, ეს ამბავი გუშინ გადაწყდა, მაშინ, როცა რკინიგზელთა და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა გერმანულ საელჩოს მიაკითხა და იქიდან ვიზით გამოვიდა

კვარაცხელია გერმანიაში წუხელ, ღამის სამ საათზე გაფრინდა, იქ ჩასულს აეროპორტში ყოფილი დამრიგებელი ლუის ცაკარიასი უნდა დახვედროდა. მისი მომავალი კლუბის ამბავსაც პერუელი გაანდობდა.

— დანამდვილებით ერთი რამ ვიცი, გერმანიაში გასინჯვაზე მივდივარ და ჩემი სამომავლო კარიერაც ჩემს ხელთაა. მხოლოდ ყურმოკვრით გავიგე, რომ მეორე ბუნდესლიგის „დუისბურგი" დამაკვირდება, თუმც არ გამოვრიცხავ, სხვა კლუბშიც მოვხვდე — გვითხრა გამგზავრებამდე კვარაცხელიამ.

გივის „ლოკომოტივთან" კონტრაქტი არ აკავშირებს. ის ივჯარის წესით თამაშობდა რკინიგზულ კლუბში, რასაც ვადა მაისში გაუვიდა. ოფიციალურად კვარაცხელია ლატვიური „სკონტოს" მოთამაშეა და რიგელებთან ხელშეკრულებას ვადა 6 თვის შემდეგ გასდის.

გამუკა კვანტალიანი

ტრიალა კარის დღეები

ვიტ ჯორჯიადან ზოგი გამოდის, ზოგი შედის

ოლეგ გველესიანი დონეცკის „მეტალურგში" ისინჯება, გიორგი ყიფიანი ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში", ლევან მელქაძე „დინამომ" გადაიბირა. ერთი შეხედვით, ასეთი ფეხბურთელების წასვლის შემდეგ „ვიტ ჯორჯია" უნდა დასუსტებულიყო და მომავალ ჩემპიონატში შედარებით მოკრძალებული მიზნები ჰქონოდა.

რისი შემძლე იქნება „ვიტ ჯორჯია", ამას მალე ვნახავთ, მიზნები კი კლუბს არ შეუცვლია და უეფას საგზურს უმიზნებს. კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, ფეხბურთელების წასვლა ზურაბ ბერიძის გუნდს ვერ დაასუსტებს. ოლეგ გველესიანის ადგილზე სამი კანდიდატი ჰყავთ, რომელთაგან უპირველესი ძველი ვეტერინარი დავით დოლიძეა. ძირითადში მოხვედრის ნაკლები შანსი როდი აქვთ დავთი იმედაშვილს და აკაკი ქუხილავასაც. თავად გველესიანის ამბავი კი სავარაუდოდ სახვალიოდ გადაწყდება. დონეცკელები ვიტელს კარგი თვალით უყურებენ და ალბათ კონტრაქტსაც შესთავაზებენ.

თავის დროზე ვეტერინართა ვერცხლის ერთ-ერთი შემოქმედი გიორგი ყიფიანი ბოლო დროს მუხლის ტკივილებმა გაწამა. გუნდმა მეთოთხმეტე ჩემპიონატი პრაქტიკულად უმისოდ ჩაატარა. ყიფიანს „ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი კი აკავშირებს, მაგრამ ფაქტია, ვიტელები ყოფილი კაპიტნის გარეშე თამაშსაც მიეჩვევნენ. გიორგის „ალანიაში" გადასვლის საკითხიც დღე-დღეზე გაირკვევა.

ლევან მელქაძის სახით ვეტერინარები მართლაც დიდ ძალას შეელივნენ, მაგრამ, ხელმძღვანელების აზრით, მათი გუნდის შეტევას მეტოქის კარზე დაგეშილი ფეხბურთელები არ მოაკლდება. „ვიტ ჯორჯიას" მაისურას მომდევნო ჩემპიონატში ისევ მოირგებს კოჭმოშუშებული ადამია. წელის ტკივილები მოირჩინა ბერელიძემ, ვისაც ტრავმამ მთელი სეზონი გააცდენინა. მარცვალაძე და ერეკლე მერებაშვილიც ჯანზე არიან, ხოლო ამ უქმეებზე ვიტელებმა თავიანთი ყოფილი ფორვარდი, ბოლო დროს ევროპაში გადახვეწილი რევაზ გოცირიძე ოფიციალურად დაიბრუნეს.

გუნდში ერთი ახალწვეულიც ჩარიცხა. ვეტერინარებმა „ჟორდადან" ნახევარმცველი ზვიად ლაბაძე გადაიბირეს. მოლაპარაკებები მიმდინარეობს კიდევ ერთ შუახაზელთან, თუმც კლუბი მის ვინაობას ჯერ არ ამხელს. თუ ვიტელთა ბანაკიდან გამოსულ არაოფიციალურ ინფორმაციას ვერწმუნებით, მაშინ ის ნახევარმცველიც ყოფილი ვეტერინარია. ლაპარაკია გერმანული „ფიურტიდან" წამოსულ გიორგი დეკანოსიძეზე, რომელიც გერმანიაში „ვიტ ჯორჯიადან" სამი სეზონის წინ წავიდა.

ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის ვერდაძლევამ ვეტერინარებს გეგმები აურია. ისინი გერმანიაში გეგმავდნენ მზადების ერთ ეტაპს. ახლა თურქულ ვარიანტზე ფიქრობენ. თუ არა, შეკრებას თბილისში გავივლითო, თქვეს კლუბის ხელმძღვანელებმა.

გამუკა კვანტალიანი

ჯაკობია თან თბილისშია, თან გერმანიაში

ბაბილი ბერეკაშვილის ფოტო

საფეხბურთო კლუბი „თბილისი" დღეს გამთენიისას ორკვირიან გერმანულ შეკრებაზე გაეშურა. თემურ ლორთქიფანიძის გუნდში სულ 16 ფეხბურთელია. თბილისელები დიუსელდორფიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ერთ-ერთ საფეხბურთო ბაზაზე დაბინავდებიან და საქართველოში ჩემპიონატის განახლებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვლენ.

საახალსეზონოდ ჯიქიელთა მაისურას ფორვარდი ლაშა ჯაკობიაც მოირგებს. იგი „დინამოდან" ივჯარის წესით გადაიყვანეს. ჯაკობია „თბილისს" ქობულეთურ შეკრებაზე არ ახლდა. ლაშას რამდენიმე უცხოური კლუბის ვარიანტი გააჩნდა, თუმც იმ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოვიდა და ფეხბურთელმაც უქმად ყოფნას ქართულ კლუბში თამაში არჩია. ჯაკობია „თბილისს" გერმანულ შეკრებაზე გაჰყვა.

თემურ ლორთქიფანიძის გუნდს სავიზო პრობლემების გამო გერმანიაში ვერ გაჰყვნენ მეკარე გიორგი გაბელია, მეკარეების მწვრთნელი გიორგი ბაბუაძე და მცველი, ყოფილი მეტალურგელი მემარნიშვილი.

გამუკა კვანტალიანი

იყიდე, გაყიდე, რეალია?!

რონალდინიო 17 ფეხბურთელის გაშვების სანაცვლოდ თეთრდება შტატი: სისულელეების მოლაპარაკე

ჯადოქარია თუ სულელი, ზუსტად ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ფაქტია: „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი „პარი სენ ჟერმენის“ პრეზიდენტ ფრენსის გრაილს გაურიგდა და ზუსტად ერთი წლის მერე პარიზელთა ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი რონალდინიო „რეალის“ თეთრ მაისურს მოირგებს.

ფრანგულმა კლუბმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეთავაზება რომ უარყო, წინა კვირაშიც ვწერდით — „იუნაიტედი“ პსჟ-ს რონალდინიოს სანაცვლოდ დევიდ ბექემში აღებული ფულიდან 25 მილიონ ევროს სთავაზობდა.

25 მილიონი ცოტა ნაღდად არ არის, მაგრამ 35 მილიონს, რომელიც ფრანგებს პერესმა შესთავაზა, 10 მილიონით ჩამოუვარდება. ჰოდა, ცხადია, გრაილმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ უარი შეუთვალა და „რეალს“ დანებდა.

თანაც რონალდინიო „რეალში“ მხოლოდ ერთი წლის მერე გადავა.

ამასობაში კი „რეალმა“ გასაყიდ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა. ამ სიაში პირველი გუნდისა და იჯარით გაშვებული ფეხბურთელები მოხვდნენ:

სესარ სანჩესი
სტივ მაკმანამანი
ფლავიო კონსეისაო
ესტებან კამბიასო
სანტიაგო სოლარი
ალბერტ სელადესი
ოსკარ მინამბრესი
ფერნანდო მორიენტესი
ხორხე ლოპეს ტოტე
პედრო მუნიტისი
რაულ ბრავო
ჯერემი ნჯიტიპი
ხულიო ალვარესი
ედვინ კონგო
ჟულიო სეზარი
როდრიგო ფაბრი
დავიდ აგანსო

ამ ჩამონათვალში უპირველესად ფერნანდო მორიენტესი მოგზვდებათ თვალში. როგორც ირკვევა, კლუბი არჩევანის წინაშე დამდგარა, მორიენტესი დავიტოვოთ სათადარიგო ფორვარდად თუ ხავიერ პორტილიოო და არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გაუკეთებია.

ერმინიო მენენდესი, პორტილიოს აგენტი, ამ უქმეებზე შეხვდა „რეალის“ სპორტულ დირექტორ ხორხე ვალდანოს. დირექტორს აგენტისთვის უთქვამს, გუნდის ახალ მწვრთნელს, კარლოს კეირუშს პორტილიოს გარეშე „რეალი“ ვერ წარმოუდგენია, რის გამოც მის ახალ კონტრაქტზე დავილაპარაკოთო.

სხვათა შორის, პორტილიოს მიმდინარე კონტრაქტს ვადა მხოლოდ 2007 წელს გასდის და თითქოს საჩქაროც არაფერია, მაგრამ აქ ერთი გარემოებაა. პორტილიო ახლა წელიწადში სულ რაღაც 90 ათას ევროს იღებს, რაც საფეხბურთო საზომებით სასაცილო თანხაა. არადა, ამ ფორვარდის საბაზრო ღირებულება 15 მილიონს ურტყამს. ერთი სიტყვით, აგენტი და დირექტორი პორტილიოს კონტრაქტის ფინანსურ მხარეს გადასინჯავენ.

ხორხე ვალდანო ამ კვირაში ფერნანდო მორიენტესის აგენტს, ხინე კარვახალსაც შეხვდება. ამბობენ, მორიენტესით უკვე დაინტერესდნენ „სარაგოსა“, „რომა“, „ბაიერნი“, „ტოტენჰემი“, „ლიონი“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ბარსელონაცო“.

პორტილიოს მსგავსად, კარლოს კეირუშმა ხორხე ტოტეზეც თქვა, მჭირდებაო. მაშინ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ტოტე მაინც აღმოჩნდა გასაყიდთა სიაში.

საქმე ის გახლავთ, რომ თავად ტოტემ თქვა, „რეალში“ საკუთარი თავისთვის პერსპექტივას ვერ ვხედავო: „მივდივარ იმიტომ, რომ თავად მსურს წასვლა. პრობლემების შექმნა არ მინდა. წავალ და საერთოდ დავივიწყებ „რეალს“.

ჯერემი ნჯიტიპმა, მოგეხსენებათ, წინა სეზონი იჯარით ინგლისურ „მიდლსბროში“ გაატარა და გუნდის ლიდერიც გახდა. ინგლისელებს მისი გაშვება არც უნდოდათ, მაგრამ...

„რეალმა“ კამერუნელში თავდაპირველად 10 მილიონი ევრო მოითხოვა. „ბოროომ“ ეს თანხა ვერ გადაიხადა. „რეალი“ 6 მილიონზე ჩამოვიდა — „ბორო“ ვერც ამდენს შესწვდა. ჰოდა, ჯერემი „რეალში“ დაბრუნდა და გასაყიდთა სიაში მოხვდა.

„ჯერემის ყიდვა ძალიან გვინდოდა — თქვა „მიდლსბროს“ თავმჯდომარე სტივ მაკლარენმა — მან ჩვენთან ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა. სამწუხაროა, რომ „რეალი“ იჯარის ერთი წლით გაგრძელებაზე არ დაგვთანხმდა, საყიდელი ფული კი ჩვენ არ გვაქვს“.

ამ სატრანსფერო აურზაურში კი ხორხე ვალდანომ დრო გამონახა და ძველ, დევიდ ბექემის ტრანსფერს მიუბრუნდა. უფრო სწორად, ბექემის ტრანსფერის თაობაზე „ბაიერნის“ კომერციული დირექტორის, ული ჰაინესის კომენტარს კონტრ-კომენტარი დაუპირისპირა.

შეგახსენებთ, თუ რა თქვა ჰაინესმა წინა კვირაში ბექემის თაობაზე: „ბექემის „რეალში“ გადასვლა ჩვენთვის ძალიან კარგია. მსგავსი ფარსი არასდროს მინახავს. ეს გარიგება იმის მაგალითია, თუ როგორ არ უნდა იმუშავო. ამ ცირკის გამო ბლომად ვიცინე. თან ბექემი არც ისე დიდი ფეხბურთელია, როგორც თავი მოაქვს“.

ვალდანოს პასუხი კი ასეთია:

„ეჭვი მაქვს, რომ „ბაიერნში“ ჰაინესის მოვალეობა სისულელეების ლაპარაკია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ეს არ გვაღელვებს. ისე, სიმართლე გითხრათ, ცოტათი გაკვირვებულიც დავრჩი, რადგან „ბაიერნის“ წარმომადგენელი უფრო საღად უნდა აზროვნებდეს. და მაინც, ჩვენ „ბაიერნს“ პატივს ვცემთ და პატივისცემის ნიშნად ვუსურვებთ, რომ მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან აღარ გავარდეს“.

გიორგი დარჯანია





ხავიერ პორტილიომ ფერნანდო მორიენტესი სათადარიგოთა სკამიდანაც გააძევა

პატრიკ კლუივერტმა ჩხუბი თუ დაიწყო, მტრისას...

ბრძოლათა იმპერია

წინა კვირაში კატალონიური „ვარსკვლავეთის ომების“ შესახებ მოგახსენებდით. რახან ნებისმიერ ბრძოლას გრძნობათა მძლავრი აფეთქებანიც თან ახლავს, „ბარსაც“ საომარი თეატრის სიმძაფრეს ვერაფრით გაექცა. დღეს ამ სატრანსფერო ფიცხელ ვნებებზე ვილაპარაკოთ.

საბაზრო სცენა: ემერსონი და ოვერმარსი

ემერსონს ხუან ლაპორტას თეატრში დიდი როლი ეკისრება. შეგახსენებთ — სრულ 25 მილიონი ევროზეა ლაპარაკი, თუკი ოკეანისგადაღმელ ვარსკვლავს „რომა“ საესპანეთოდ გაიმეტებს.

ამას წინათ „ბარსელონას“ კულისებში ფრიად გასაიდუმლოებული შეხვედრა შედგა, სადაც ემერსონის მომავლის გარკვევა სცადეს. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ კლუბთა წარმომადგენლები ესპანური მედიის ყოველისშემძლე მარწუხებში მოექცნენ, რამაც ისინი იძულებული გახადა, თითო-ოროლა ძუნწი ფრაზა გადმოეფრქვიათ. აღმოჩნდა, რომ „რომა“ არცთუ ხალისიანად შესცქერის „ბრაზილიერის“ დაკარგვის პერსპექტივას, თუმც მოლაპარაკებაზე უარს არ ამბობს.

„მართალია, რომაელებმა ემერსონი ტრანსფერგარეშედ გამოაცხადეს, მაგრამ რატომღაც კატალონიელებთან ხშირად თათბირობენ. ესე იგი, ტრანსფერი განუხორციელებელი არ არის“ — თავისებურ დასკვნას აკეთებს ესპანური „მარკა“.

ამასობაში იტალიურმა ნიავმა, ოღონდ „ინტერის“ მხრიდან, ბარსელონელ ოვერმარსსაც წამოუქროლა. უახლოეს დღეებში მილანური კლუბის წარმომადგენლები ჰოლანდიელის გადასაბირებლად ესპანეთს ეწვევიან. ჩანს, „ინტერი“ ლაპორტას სახელფასო პოლიტიკით უკმაყოფილო ოვერმარსის გამოჭერას ცდილობს.

ოვერმარსით კი არა მარტო მასიმო მორატის ხელქვეითები ინტერესდებიან. ფათიჰ თერიმის თურქული „გალათასარაი“ „ბარსას“ ჰოლანდიელში 12 მილიონ ევროს სთავაზობს.

გახარებული აიალა

„ვინ ვინ და, „ვალენსიამ“ კი მშვენივრად უნდა იცოდეს, რომ უკვე 30 წლის ვარ და კარიერის დასრულება გრანდ კლუბში მეკუთვნის — ამ სიტყვებით მიმართა სამშობლოში არდადეგებზე მყოფმა რობერტო ფაბიან აიალამ იქაურ სპორტულ გაზეთ „ოლეს“ — ძლიერ მინდა „ბარსელონაში“ გადასვლა. ეს ფანტასტიკური რამ იქნება. ესპანეთიდან ახალ ცნობებს მოუთმენლად ველოდები.“

„ვალენსია“, რომელიც აიალაში აღრე 12 მილიონ ევროს ითხოვდა, ახლა 10-ზეც ყაბულსაა, ოღონდ კატალონიელთა მხრიდან თანხის ნაწილის ფეხბურთელებით გადახდაზე უარს ამბობს. „ვალენსიას“ პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ კი თქვა: „თუ რობერტოს მართლა ასე უნდა „ბარსაში“ გადაბარგება, შევეცდებით, ხელი არ შევუშალოთ.“

იდუმალი მავრი

ამ რამდენიმე ხნის წინ პატრიკ კლუივერტმა თავის ვებ-გვერდზე „ბარსადან“ წასვლის შესახებ განცხადება გამოაქვეყნა.

ამან კატალონიელთა პრეზიდენტის განრისხება გამოიწვია. „მე ხელს იმაზე მეტად ვერ გავშლი, რამდენის უფლებაც ჩემ[illegible] ღმერთს მოუცია. ეს პატრ[illegible] უნდა იცოდეს“ — აღშფოთ[illegible] ხუან ლაპორტა.

და აი, ჰოლანდიელი მავ[illegible]ის საინტერნეტო არეალში ახალი და უკვე იმედის მომცემი განცხადება გაჩნდა: „მინდა, რომ კატალონიაში თამაში გავაგრძელო. ჩემს წარმომადგენელსა და კლუბის ხელმძღვანელობას უახლოეს ხანში დაველაპარაკები.“

ფეხბურთელის თქმით, მისი საბოლოო პასუხი ცნობილი არაუგვიანეს 20 ივლისისა გახდება. არას თქმის შემთხვევაში კი ვაკანტურ ადგილზე ჯიბრილ სისეს უმიზნებენ.

ნახევარი ჰეფი ენდი

ალბათ გახსოვთ, კლუივერტი უკვე ჩამთავრებული პრიმერას ბოლო მატჩში გაწეული მუშტი-კრივისთვის მომავალი ჩემპიონატის პირველი ოთხი მატჩით რომ იყო დისკვალიფიცირებული. ახლა კი ფეხბურთის ფედერაციამ ფრიადი მოწყალება გამოიჩინა და ჰოლანდიელს სასჯელი გაუნახევრა.

წინ კი დაძაბული ბრძოლებია, წარმოდგენა გრძელდება, ბატონებო!

ლადო ხოფერიკი

ვინ თქვა, რომ მე ვთქვი?

ბერხკამპმა ჯამაგირი იუარა და მომავალი მოითხოვა



დენის ბერხკამპი: მითხარით რაზე

პატრიკ ვიეირა: არაფერი მითქვამს

„არსენალში" არსენ ვენგერის მისვლის დღიდან კლუბი ფეხბურთელებს ბლუჯა-ბღუჯა ყიდულობდა. ზღვა ფულის დახარჯვის მიუხედავად გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედის" პრემიერობა ოდენ მცირედით შეარყია და ვერც ევროსარბიელზე ივარგა.

ახლა უკვე გახუნებული მოთამაშეების გაყიდვისა და ახლების შეძენის დროა, მაგრამ „არსენალი" ველარც ყიდის და ველარც ყიდულობს. „მეთოფეებს" ვაზნები შემოელიათ.

ლონდონური კლუბის ბოსების მიზანი ამ ზაფხულს ფეხბურთელებისთვის ხელფასების შემცირება და გუნდში მათი ახალი პირობებით დატოვებაა.

არსენ ვენგერის მთავარი საზრუნავი პატრიკ ვიერა გახლავთ. ერთ-ერთი ინგლისური გაზეთის ცნობით, ვიეირამ „არსენალთან", სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კვირაში 70 ათას გირვანქას მიიღებს. ფრანგმა ფეხბურთელმა ეს რომ წაიკითხა, იუარა, ხელი არაფერზე მომიწერიაო. თუმცა, იქვე დასძინა, ჩემი აგენტი კლუბთან ახალ პირობებზე შეთანხმებას ცდილობს და ალბათ ლონდონში დავრჩებიო.

34 წლის დენის ბერხკამპის მომავალიც ჯერ ბურუსითაა მოცული. მისი კონტრაქტის ვადა 30 ივნისს ამოიწურა. ჰოლანდიელს კლუბის დირექტორატი კონკრეტულს არაფერს სთავაზობს.

ბერხკამპმა პატრონის გასაგონად თქვა: „ხელფასის შემცირებაზე თანახმა ვარ და „არსენალშიც" დავრჩები, ოღონდ გამაგებინეთ, რა მელის. ამის შესახებ რამდენიმე თვის წინაც ვთქვი. „ჰაიბერიზე" რვა ბედნიერი წელიწადი გავატარე. გუნდისთვის ჯან-ღონე არ დამიშურებია და, ვფიქრობ, კლუბისგან უყურადღებოდ დატოვებას არ ვიმსახურებ. გაურკვევლობა ჩემზე ცუდად მოქმედებს. წასვლა-დარჩენის საკითხი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს".

თავის კლიენტს აგენტმა რობერტ იენსენმაც კვერი დაუკრა: „დენისს თამაში და კარიერის დასრულება სწორედ „არსენალში" სურს. მეეჭვება, რომ სხვაგან გადავიდეს. ან დარჩება, ან კიდევ კარიერას დაამთავრებს".

„მანჩესტერ სიტიში" გადაბარგებული დევიდ სიმენის კვალად, კონტრაქტი უკრაინელ მცველ ოლეგ ლუჟნისაც დაუმთავრდა. შესაძლოა, იგი პრემიერლიგის ახალბედა „ვულვერჰემპტონში" გადავიდეს.

„ლუჟნი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თუ ყველაფერი წესრიგში იქნება, აუცილებლად დავიტოვებთ. ჩვენი გუნდში უკრაინის ნაკრების კაპიტნის თამაში საკმაოდ ბევრს ნიშნავს" — განაცხადა „ვულვერჰემპტონის" მენეჯერმა დეივ ჯონსმა.

„არსენალის" მზვერავებმა დევიდ სიმენის შემცვლელის ძიებაში ევროპის თითქმის ყველა კარი ნახეს. ლიდსელი პოლ რობინსონის გადაყვანა არ მოხერხდა, მილანელებთან კრისტიან აბიატის თაობაზე ვერ შეთანხმდნენ. მერე „ბეშიქთაშის" მეკარე ოსკარ კორდობას მიადგნენ, რომელიც კონფედერაციათა თასზე კოლუმბიის ნაკრებში თამაშობდა. ახლა კი ახალი, არგენტინული გვარ-სახელი გამოჩნდა. „სან ლორენსოს" მეკარე სებასტიან სახა ამბობს, რომ მილიონ 750 ათასი გირვანქის სანაცვლოდ ლონდონში მიემგზავრება. სახასავე თქმით, კონტრაქტის მთავარი პუნქტები შეთანხმებულია და წვრილმანებიღა დარჩა.

ვაჟა ხუციშვილი

გაზას ჯადოსნური ლამპარი

დალიე, დალიე, დალიე!

ჩინეთში ფეხბურთის სათამაშოდ წასულმა პოლ გესქოინმა აშშ-ში, არიზონას კლინიკაში ამოყო თავი და ალკოჰოლური მაჯლაჯუნებისგან გათავისუფლდა.

ატლანტიურ პნევმონიას გარიდებული ფეხბურთელი ინგლისში ჩავიდა, ჩინური გუნდის მეპატრონეები კი



თავიანთ მოთამაშე-მწვრთნელს ამაოდ ეძებდნენ.

ბოლოს მიაკვლიეს, მაგრამ „გაზა" ბრინჯის ქვეყანაში დაბრუნებას აღარ აპირებს და მიზეზად კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობას ასახელებს.

ჟურნალისტებთან გესქოინის ურთიერთობები შაქარმოყრილი არასოდეს ყოფილა, თუმცა ფეხბურთელმა ინგლისურ „სანს" თავისი ცხოვრების მთავარი საიდუმლო გაანდო:

„გაუთავებელი მკურნალობის მიუხედავად, თავში ჯინი მიზის, რომელიც მუდამ „დალიე, დალიეს" მიქადაგებს. მისი მოშორება შეუძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა პირისპირ ვრჩებით. სამ-ოთხ კათხა ლუდზე ან ორ-სამ ჭიქა ღვინოზე დამუხრუჭება ძალიან მიჭირს. კიდევ უფრო მეტად მწყურია და ჯინიც მახელებს. ორ ჭიქას ორი ბოთლი მოჰყვება და ასე გაუთავებლად. ლოთებმა იციან, რაზეც ვლაპარაკობ".

„გაზამ" ინგლისური კლუბების გასაგონად თქვა, ნებისმიერ გუნდში მუქთად ვითამაშებ, მსურველებმა დამირეკონო. გესქოინს თურმე ჯერ კიდევ შარშან ეწადა „ნიუკასლში" თამაში და ბობი რობსონსაც შეეხმიანა: „მე სერიოზულად დაველაპარაკე, იმ კლუბში დაბრუნება მინდოდა, სადაც ოთხი წელი გავატარე. რობსონმა ალბათ იფიქრა, რომ ჭკუიდან შევიშალე და უპასუხოდ დამტოვა. იგი ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს ყიდულობს, მაგრამ 36 წლისასაც კი მგონია, რომ მათ გვერდით ბურთის გაგორებას შევძლებ. თუნდაც ძირითად შემადგენლობაში ვერ მოვხვდე, „ნიუკასლის" შავ-თეთრი მაისურის მორგება ძალიან მესიამოვნებოდა".

გესქოინს მადრიდის „რეალში" დევიდ ბექემის გადასვლაზეც დაეკითხნენ: „დევიდივით წარმატებულ კარიერას მეც ვინატრებდი. იგი ძველი თაობის ფეხბურთელი რომ ყოილიყო, მე, როგორც მომავალს, შესაძლოა, მისთვის მიმებაძა კიდეც. არ მესმის, როგორ დაუმეგობრდა ჟურნალისტებს, რომლებთანაც ყოველთვის მუშტი-კრივი მქონდა გაჩაღებული. ბექემმა მათთან ურთიერთობა ხელოვნებად აქცია. ერთი არაჩვეულებრივი ღიმილი და ყველაფერი მოგვარებულია".

ვაჟა ხუციშვილი

მე ამისგან გავაკეთებ

თქვენ ჯერ არ იცნობთ აბრამოვიჩს



რომან აბრამოვიჩი კენ ბეიტსს პინი ზაჰავიმ გააცნო. ზაჰავი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გაქნილი აგენტია.

„აბრამოვიჩი ჩემი მეგობარი და ფეხბურთის დიდი ქომაგია. მისტერ ბეიტსთან შეხვედრა მე მოვუგვარე. გარიგებას 45 წუთი დასჭირდა და ხელი ხელს დაჰკრეს. რომანს თქვენ ჯერ კარგად არ იცნობთ. „ჩელსისგან" იგი ორ-სამ წელიწადში მადრიდის „რეალის" ან „მანჩესტერ იუნაიტედის" დარ იმპერიას შექმნის" — თქვა სუპერაგენტმა.

თავად რომან აბრამოვიჩი ასე ბჭობს: „ჩელსი" ინტერნაციონალური გუნდი იქნება, რომელშიც საუკეთესო ფეხბურთელები ითამაშებენ. ჩემთვის მადრიდის „რეალის" მოდელი ნაკლებად მისაღებია, „მანჩესტერ იუნაიტედი" კი სამაგალითოა. მიუხედავად ამისა, ვითარება გვაიძულებს, სამომავლოდ ფეხბურთელები ჩვენ თვითონ კი არ აღვზარდოთ, არამედ ჩამოყალიბებული მოთამაშეები შევიძინოთ".

მთავარარისტოკრატმა მწვრთნელზეც ისაუბრა: „მან უნდა გითხრას, რომელ პოზიციაზე სჭირდება ფეხბურთელი. მოთამაშეების შერჩევის პროცესში მონაწილეობას უშუალოდ მივიღებ. ეს საკმაოდ სასიამოვნო საქმეა. გულშემატკივრებს ვარწმუნებ, ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ „ჩელსითან" ჩვენ ერთად ვისიამოვნოთ".

თითქმის ყოველდღე ინგლისურ პრესაში ათასნაირი ჭორ-ამბები ვრცელდება. ზოგი მათგანის თანახმად, ჩელსელებმა „ევერტონის" ფორვარდ უეინ რუნის დაადგეს თვალი და 30 მილიონი გირვანქაც შესთავაზეს, რასაც „ევერტონის" წარმომადგენელმა ზღაპარი უწოდა.

„რუნი „ჩელსის" კი არა, უამრავ გუნდს სურს და ეს არც გვიკვირს, მაგრამ ლონდონელებს ჩვენთვის ოფიციალურად არ მოუმართავთ. ასე რომ, მხოლოდ თავისთვის ლაყბობენ" — არცთუ დელიკატურად განმარტა „ევერტონის" წარმომადგენელმა.

ვაჟა ხუციშვილი

„ინტერს“ მოეწონა, როგორ გაურბის ლუსიანო პაოლო მალდინის და თავისთან გადაბირებას ლამობს

ინტერბაზარი

ამბობენ, რომ „ინტერისა“ და „კიევოს“ შეთანხმებას წინ აღარაფერი უდგას ანუ 28 წლის ბრაზილიელის, ლუსიანოს საქმე მოგვარებულია — ვერონელები მის სანაცვლოდ გარკვეულ თანხას პლუს სემიოლისა და ალესანდრო პოტენცას ნახევარმეპატრონეობას მიიღებენ. მოგეხსენებათ, ლუსიანოს ადრე, საპასპორტო სკანდალამდე, ერიბერტო ერქვა. იგი „ინტერის“ არგენტინელი თავკაცისთვის, ექტორ რაულ კუპერისთვის ფრიად სასურველი სტილის გარემარბია, რადგან კუპერს 4-4-2 სისტემა აქვს აჩემებული და ფეხბურთელებს შესაბამისად ეძებს.

ლუსიანოს „ინტერში“ გადაბარგებას, სავარაუდოდ, ძალიან მალე მოჰყვება „აიაქსში“ მოთამაშე ახალგაზრდა ნახევარმცველის, ენდი ვან დერ მეიდეს მილანშივე გადასვლაც. დღეს ფეხბურთელის აგენტები კლუბის წარმომადგენლებს შეხვდებიან და ხელფასის საკითხებს შეათანხმებენ, თუმცა არავინ იცის, რამდენად მოგვარებულია სატრანსფერო თანხის ამბავი. წინასწარი ცნობებით, იტალიელები 7 მილიონ ევროს იხდიდნენ, ჰოლანდიელები კი 10,5 მილიონს ითხოვდნენ.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, ჭორების თანახმად, „ინტერს“ უკვე მოგვარებული აქვს. ეს ჩილელი თავდამსხმელის, „უნივერსიდად დე ჩილეს“ წევრის, მაურისიო პინილიას 2,52 მილიონ ევროდ ყიდვაა, თუმცა, ამბობენ იმასაც, რომ პინილიას მილანელები დაუყოვნებლივ გაასესხებენ „კიევოში“.

საინტერესოა ერთი რამ: პინილია და „შავ-ლურჯი“ კლუბი ერთმანეთს ფირმა „პას ბოლმა“ დაუკავშირა, ეს კი „ინტერის“ ყოფილი ფორვარდის, ჩილელი ივან სამორანოს ფირმა გახლავთ.

„ინტერი“ ყიდულობს „ბეტისის“ ესპანელ თავდამსხმელს, ხოაკინსაც, რომელიც, ერთი ხანობა, თითქოს მადრიდის „რეალში“ უნდა წასულიყო, მაგრამ მას მერე, რაც მადრიდში დეკიდ ბექემი ჩავიდა, სევილიელებმა იგრძნეს, რომ „რეალი“ მათთვის სასურველ ფულს ვეღარ გადაიხდიდა და მზერა მილანს მიაპყრეს. ფული, რომელიც ხოაკინში უნდა გადახდილიყო, გვარიანად დიდი გახლავთ — 60 მილიონი ევრო, თუმცა ამბობენ, რომ „ინტერი“ საფასურის ნაწილს ნატურით დაფარავს ანუ 30 მილიონ ევროს ფარინოსსა და კონსეისაუს დაამატებს.



ხოაკინი

პაპუნა კედია

ბექემი, ოლონდ ფრანგი...

„იუვენტუსის“ ჩილელი ფორვარდი მარსელო სალასი შესაძლოა „მონაკოში“ გადავიდეს, ხოლო „მონაკომ“, სანაცვლოდ, ჟერომ როტენი დაუთმოს ტურინელებს. ადრეც გვითქვამს, რომ „იუვეს“ სატრანსფერო საქმეთა შეფი, ლუჩანო მოჯი ყველა ღონეს ხმარობს, რათა სალასი დროულად მოიშოროს თავიდან. ეს გასაგებიცაა, ოდინდელი ლაციოელი ტურინში წლიურ გასამრჯელოდ 3,64 მილიონ ევროს იღებდა.

ახლა, ვინ არის როტენი? მას სამშობლოში ფრანგ ბექემად იხსენიებენ, 25 წლისაა და ჯერ „კანში“ თამაშობდა, ხოლო შემდეგ „ტრუაში“, „მონაკოში“ 2001 წლიდან გამოდის.

პაპუნა კედია

ნაკატა მოდის

ჰიდეტოში ნაკატა ეგებ კახა კალაძის თანაგუნდელი გახდეს

სამუელე დალა ბონა „მილანის“ კუთვნილებაა, მაგრამ მისი „სესხებისთვის“ სერია A-ში ახალაღზევებულები, „ანკონა“ და „სიენა“ იბრძვიან. მოგეხსენებათ, დალა ბონა „სან სიროზე“ ერთი წლის წინ, ლონდონის „ჩელსიდან“ ჩავიდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, რადგან კარლო ანჩელოტის მაინცადამაინც არ მოუვიდა თვალში და მოედანზე ათასში ერთხელ უშვებდა.

დალა ბონას გასესხება თავად ფეხბურთელის იდეაა, იგი მივიდა კლუბის ხელმძღვანელებთან და სთხოვა ისეთ ადგილას გაშვება, სადაც თამაშს შეძლებდა. „ანკონასა“ და „სიენას“ შორის კი სიენელთა გუნდის სპორტული დირექტორის, ნელსო რიკის მეცადინეობით 22 წლის ვარსკვლავთან უკანასკნელი უფრო ახლოსაა. თუ მოულოდნელობა არ მოხდა, ტრანსფერს ამ კვირაში უნდა ველოდოთ.

ამრიგად, დალა ბონა მიდის, თან მხოლოდ სესხად, მისვლით კი, სულაც არ არის გამორიცხული, „შავ-წითელთა“ ლაშქარში ცნობილი იაპონელი ჰიდეტოში ნაკატა მივიდეს. ამბობენ, რომ „პარმასა“ და „მილანს“ შორის მოლაპარაკებები შესაძლოა ძალიან მალე დასრულდეს და თან საქმეს ორივე მხარისთვის სასიკეთო პირი უჩანს.

„არ დავმალავთ, ასეთი ტრანსფერის შესაძლებლობას განვიხილავთ — ამბობს „მილანის“ ვიცეპრეზიდენტი ადრიანო გალიანი — ნაკატას შეძენა გამორიცხული ნამდვილად არ არის, მაგრამ მოვლენებს არ ვაჩქარებთ“.

საინტერესოა, რომ ნაკატას სახელს უკავშირებდნენ აგრეთვე, „მარსელს“, „ბაიერნს“ და რამდენიმე ინგლისურ კლუბს, „მილანს“ კი, მოგეხსენებათ, ყოფილი ვარსკვლავი, დემეტრიო ალბერტინი უბრუნდებოდა... უფრო სწორად, დაუბრუნდა, მომავალი სეზონიდან მადრიდის „ატლეტიკოში“ აღარ იქნება, მაგრამ შესაძლოა არც „მილანში“ დარჩეს და „ლაციოში“ გადაბარგდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ლაციო“ ალბერტინის სანაცვლოდ „მილანს“ ჯუზეპე პანკაროს გადაულოცავს.

და რაკიღა „შავ-წითელ“ „მოხუცებზე“ ჩამოვაგდეთ სიტყვა, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „მილანის“ კიდევ ერთი დიდი ვეტერანი, რობერტო დონადონი სერია C-ს გუნდ „ჯენოას“ ჩაუდგა სათავეში.

პაპუნა კედია

დახურული საქმის გახსნა

„რომამ“ იგრძნო, რომ „აიაქსის“ შვედ ვარსკვლავს ზლატან იბრაჰიმოვიჩს გული მისკენ მიუწევს და ერთხელაც გამოიჩინა ინტერესი.

„მე სიამოვნებით ვითამაშებდი „რომაში“ — უთქვამს იბრაჰიმოვიჩს შვედური გაზეთისთვის, „აფტონბლადეტისთვის“ — ამსტერდამში კონკრეტულ წინადადებას ელიან“.

იტალიური კლუბი უკვე რა ხანია ზლატანის ყიდვას ცდილობს, მაგრამ „აიაქსი“ 11,2 მილიონი ევროს მიღებას იმედოვნებდა, რაც რომაელებს ეძვირებოდათ და, საიდუმლო გამხელილი სჯობს, არც თავად იბრაჰიმოვიჩს ეტყობოდა რომში გადაბარგების, დიდი სურვილი. შემდეგ კი ის მოხდა, რომ „რომამ“ ვერც ნიკოლა ლეგროტალიე იყიდა და ვერც ბრაზილიელი ლუსიო, რამაც, ეტყობა შეაშფოთა და იბრაჰიმოვიჩისადმი დამოკიდებულება შეეცვალა — უფრო პრაქტიკული და კონკრეტული გახდა.

„ფრანჩესკო ტოტის მხარდამხარ თამაში საოცარი იქნებოდა — ასე ალაპარაკდა 22 წლის ფეხბურთელი — იგი ნამდვილი ვარსკვლავია, რომელსაც „რომა“ თითებს შორის არასდროს გაიხსლეტს“.

იბრაჰიმოვიჩის ადგილი კი გუნდში ნამდვილად იქნება, მით უფრო, გაბრიელ ბატისტუტას წასვლისა და მარკო დელვეკიოს შესაძლო წასვლ[illegible] შემდეგ. რაც შეეხება კიდევ ერთ თავდამსხმელს, [illegible]რჩენცო მონტელას, მასზე კლუბის ტრანსფერთა შეფ[illegible] ფრანკო ბალდინი ამბობს, რომ არსად გადადის.

პაპუნა კედია

ინტერტოტოს თასი

II ეტაპი. I მატჩები

მარეკი (ბულგარეთი) 1:1 ვოლფსბურგი (გერმანია)

0:1 კლიმოვიჩი (24), 1:1 ბიბიშკოვი (75)

მარეკი: ჩავდაროვი, კოემჯიევი (არანგულოვი 15), ა. კიუშუკოვი, პეტკოვი, ეაზაროვი, ველიკოვი, ბიბიშკოვი, სტოიკოვი, პარგოვი (ლუბენოვი 46), ა. მუჯირი, ს. კიუშუკოვი (დონევი 90)

მწვრთნელი: ლუბომირ ტრაიკოვი

სენტ ტრუიდენი (ბელგია)	0:2	ტობოლი (ყაზახეთი)
სინოტი (ჩეხეთი)	1:0	ოფკ (სერბეთი)
ლიბერეცი (ჩეხეთი)	2:0	შემროკ როვერსი (ირლანდია)
აკრატიტოსი (საბერძნეთი)	0:1	ალიანსი (ფინეთი)
რასინგი (ესპანეთი)	1:0	დიორ ეტო (უნგრეთი)
ტამპერე (ფინეთი)	0:0	სუტიესკა (სერბეთი)
იორგრიტე (შვედეთი)	3:2	ნიცა (საფრანგეთი)
პობედა (მაკედონია)	1:1	პაშინგი (ავსტრია)
შახტიორი (ბელარუსი)	1:1	ციბალია (ხორვატია)
დაჩია (მოლდოვა)	2:0	პარტიზანი (ალბანეთი)
კოპერი (სლოვენია)	1:0	დუბნიცა (სლოვაკეთი)
თუნი (შვეიცარია)	2:3	ბრნო (ჩეხეთი)
სლობოდა (ბოსნია)	1:0	ლიერსი (ბელგია)
ტილბურგი (ჰოლანდია)	2:1	ვილი (შვეიცარია)
ბრეშა (იტალია)	2:1	გლორია (რუმინეთი)

სასასუხო მატჩები გაიმართება 12-13 ივლისს

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სპრო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

რივერელებმა საჩემპიონო ჭუდები დაიხურეს

მოგებულთა წაგებები

არგენტინა

კლაუსურა XIX ტური

არსენალი — ხიმნასია 0:0; კოლონი — ველესი 1:0; ჩაკარიტა — ოლდ ბოიზი 1:2; ტალიერესი — ლანუსი 1:1; ინდეპენდიენტე — სან ლორენსო 0:1; ნუევა ჩიკაგო — ბანფილდი 0:3; ესტუდიანტესი — უნიონი 2:0; რივერ პლეიტი — რასინგი 1:3; როსარიო — ბოკა ხუნიორსი 7:2. ურაკანი — ოლიმპო 74-ე წუთზე შეწყდა

კლაუსურას ბოლო ტურში ლიბერტადორესის თასის მომგებმა „ბოკა ხუნიორსმა“ 2:7 წააგო როსარიოში, თუმცა ამის გამო გული არავის დაწყვეტია, რადგან ნამდვილი „ბოკა“ იმ დროს მშობლიურ „ბომბონიერას“ სტადიონზე იყო მწვრთნელ კარლოს ბიანკისთან ერთად და თასის მოგებას ზეიმობდა, ხოლო როსარიოში ახალგაზრდული გუნდი ჩასულიყო.

„ბომბონიერაზე“ ზეიმს 40 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა, ლურჯ-ყვითელ დროშიანმა ხულიგნებმა კი ვიტრინებიც დალეწეს, ხანძრებიც გააჩინეს და პოლიციასაც ეომნენ. სტადიონის დიდ ეკრანზე „სანტოსთან“ ნათამაშევი თასის ფინალის ორივე მატჩის საუკეთესო მომენტებს და კლუბის ისტორიის ამსახველ კადრებს აჩვენებდნენ.

ამასობაში კი როსარიოელ ლუსიანო ფეგეროასს გაჰქონდა და გაჰქონდა გოლები ბოკელი დუბლიორებისთვის და იმდენი გაუტანა, რომ ჯამში ხუთი მოუგროვდა.

„ბოკას“ არად უღირდა იმ ბოლო თამაშის დათმობა, ვინაიდან ადრევე დათმო ჩემპიონობისთვის ბრძოლა და ლიბერტადორესისათვის ჭიდილი ამჯობინა. ამიტომ წინა ტურიდანვე კლაუსურა-ჩემპიონი „რივერ პლეიტი“ იყო. დიახაც, ეს ის უცნაური დღე იყო ბუენოს აირესში, როცა „ბოკაცა“ და „რივერიც“ ზეიმობდნენ. „რივერმა“ ასევე წააგო თავისი ბოლო მატჩი „რასინგთან“, თუმცა, 60 ათასი კაცი მაინც ხარობდა.

და მაინც „ბოკას“ სტადიონის ეკრანზე ამაყად ლივლივებდა წარწერა: „ჩვენ არგენტინას თასი ჩამოვუტანეთ, გალინებმა (გალინას — „რივერის მეტსახელია“) კი ვერა“. როგორც მოგეხსენებათ, „რივერი“ მეოთხედფინალიდან გამოეთიშა ლიბერტადორესის თასს.

აპერტურა-კლაუსურას ჯამური შედეგით ლიგიდან გავარდნენ „უნიონი“ და „ურაკანი“.

გადასასვლელ თამაშებში კი „ნუევა ჩიკაგო“ „არგენტინოს ხუნიორსს“ ეჭიდავება, ხოლო „ტალიერესი“ „სან მარტინს“.

„ურაკანის“ ლიგასთან გამოსათხოვარი მატჩი ხმაურიანი იყო. გუნდი „ოლიმპოს“ ეთამაშებოდა და 74-ე წუთზე მოედანზე სამოცამდე ურაკანელმა გიჟმა იხუვლა. ეს ბიჭები ცდილობდნენ, თავიანთი გუნდის ფეხბურთელებისთვის მაისურები გაეხადათ, რათა სამახსოვროდ შეენახათ, როგორც მთავარ ლიგაში ოფლით გაპოხილი სამოსი.

წაუგებელ მწვრთნელად კარლოს ბილარდო დარჩა, რომელმაც ცხრა ტურის წინ ჩაიბარა „ესტუდიანტესი“ და ფრეებით და მოგებებით გადაარჩინა. ყველაზე ცოტა გოლი, 12 პატარა „არსენალმა“ გაიტანა, რომელიც გრონდონათა მძლე ოჯახს ეკუთვნის და რომელსაც ხორხე ბურუჩაგა წვრთნის. სამაგიეროდ, „არსენალმა“ მხოლოდ 13 გაუშვა, რითაც მარტო „ველეს სარსფილდს“ ჩამორჩა.

ასე დამთავრდა კლაუსურა.

ᲝᲜᲝᲠᲘᲝ ᲑᲣᲡᲢᲝᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

რივერ პლეიტი	19	13	4	2	43:18	43
ბოკა ხუნიორსი	19	12	3	4	36:23	39
ველესი	19	12	2	5	27:12	38
როსარიო	19	10	7	2	40:18	37
კოლონი	19	7	8	4	19:14	29
სან ლორენსო	19	8	5	6	27:28	29
ესტუდიანტესი	19	7	7	5	24:18	28
ოლიმპო	18	8	4	6	21:17	28
ნუევა ჩიკაგო	19	7	5	7	29:33	26
ხიმნასია	19	7	5	7	21:26	26
რასინგი	19	6	7	6	26:24	25
ლანუსი	19	7	4	8	27:29	25
ბანფილდი	19	6	5	8	18:20	23
არსენალი	19	4	10	5	12:13	22
ოლდ ბოიზი	19	5	7	7	21:26	22
ტალიერესი	19	5	6	8	23:26	21
ინდეპენდიენტე	19	4	6	9	13:25	18
უნიონი	19	4	5	10	18:29	17
ჩაკარიტა	19	2	5	12	11:24	11
ურაკანი	18	1	3	14	12:45	6

წვიმა, ნისლი და გოლები

ბრაზილია

30-ე ტური: ვასკუ და გამა — პარანა 1:4; სან პაულუ — სან კაეტანო 1:1; ატლ. მინეირო — პაისანდუ 3:2; ფიგეირენსე — კრუზეირო 1:0; გრემიო — ფლამენგო 2:0; გუარანი — გოიასი 3:2; ატლ. პარანენსე — კორინთიანსი 3:1; ფორტალეზა — კრისიუმა 0:1; ვიტორია — პონტე პრეტა 1:4; ჟუვენტუდე — ინტერნასიონალი 1:1; სანტოსი — კურიტიბა 3:1; ფლუმინენსე — ბაია 1:0

„სანტოსს“ თითქოს არც დასტყობია, რომ შუა კვირაში მწარედ ეტკინა მშობლიურ „ვილა ბელმირაზე“ „ბოკა ხუნიორსთან“ წაგება და ლიბერტადორესის თასის დათმობა. მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ ძირითადის ექვსი მოთამაშე, მათ შორის რობინიო და დიეგო დაასვენა, გუნდმა კი მაინც მოიგო, 3:1 სძლია „კურიტიბას“.

დიეგოს ნაცვლად მოთამაშე ჟერომ ადრევე გახსნა ანგარიში. მერე სტუმრებს მცველი ვილიანსი გაუძღვეს ორი ყვითლით, რასაც „სანტოსის“ ოთხ წუთში გატანილი ორი გოლი მოჰყვა: ფაბიანომ და პრეტომ თამაშის ბედი გადაწყვიტეს.

იანვრიდან მეორედ წააგო „კრუზეიროომ“, რომლის მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგოც ერთი თვის განმავლობაში ტრიბუნაზე იჯდება და არა მწვრთნელის სკამზე — ორიოდ კვირის წინ მოედანზე შევარდნისთვისაა დასჯილი. მწვრთნელს მოშორებული „კრუზეირო“ ფლორიანოპოლისში „ფიგეირენსესთან“ დამარცხდა. ერთადერთი გოლი ვილიანმა გაიტანა.

„კრუზეირო“ კვლავ პირველია: ქულით, ოღონდ თამაშითაც მეტი აქვს „სანტოსზე“.

„ატლეტიკო პარანაენსემ“ 3:1 მოუგო „კორინტიანსს“. სამივე გოლი ილიანმა გაიტანა და 13 ბურთით მეგოლეთა სიას ჩაუდგა სათავეში. თამაში ნახევარი საათის დაწყებული იყო, როცა ტროპიკულმა თქეშმა ფეხბურთელები გასახდელში შერეკა. თამაში საათნახევრის შემდეგ განახლდა დატბორილ მინდორზე და „კორინტიანსის“ მწვრთნელმა ჟენინიომ წაგებაც ამას დააბრალა, არ მინდოდა, ფეხბურთელები დამშავებოდნენო.

წვიმამ წაახდინა „ჟუვენტუდე“ — „ინტერნასიონალის“ მატჩიც, რომელიც 1:1 დასრულდა. თამაშისას ისეთი ნისლი ჩამოწვა, რომ ორიოდ ნაბიჯში არაფერი ჩანდა.

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ფლუმინენსე — ბაია. რიოელმა მარჩელო მასადომ ბაიელ ლუიმ ფერნანდოს ფეხი ფეხებს შორის მოუღერა

ᲚᲣᲨᲐᲣ ᲓᲣ ᲛᲝᲜᲐᲙᲐᲣ

კრუზეირო	16	9	4	3	33:20	31
სანტოსი	15	9	3	3	29:14	30
სან პაულუ	16	8	5	3	31:26	29
კურიტიბა	16	8	3	5	26:21	27
ატლ. მინეირო	16	7	6	3	29:21	27
ინტერნასიონალი	16	7	4	5	21:19	27
სან კაეტანო	16	6	7	3	18:16	25
კრისიუმა	16	7	3	6	18:21	24
კორინთიანსი	16	6	5	5	32:23	23
პარანა	16	6	4	6	29:24	22
ფლუმინენსე	16	6	4	6	22:22	22
გუარანი	16	6	3	7	27:26	21
ვიტორია	16	6	3	7	19:27	21
ფიგეირენსე	16	5	6	5	19:19	21
ვასკუ და გამა	16	5	6	8	23:25	21
ფლამენგო	16	5	6	5	23:27	21
ატლ. პარანენსე	15	6	2	7	26:24	20
ბაია	16	5	4	7	20:26	19
გრემიო	16	5	3	8	20:23	18
ჟუვენტუდე	16	3	6	7	16:29	18
პაისანდუ	16	4	4	8	28:36	16
პონტე პრეტა	15	4	6	5	22:25	14
ფორტალეზა	16	3	4	9	15:25	13
გოიასი	15	2	3	10	25:32	9



ვანდერლეი ლუშემბურგოს საქმე სასაცილოდ აღარ აქვს

ჩასვით!

ბრაზილიური „კრუზეიროს“ ამჟამინდელი და ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო ერთ თვეში ორჯერ გაება შარში.

ქვეყნის თასის ნახევარფინალში მსაჯის გალანძღვისთვის ერთთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს და ტრიბუნაზე ჯდომა მიუსაჯეს. ახლა კი გაირკვა, რომ ტრიბუნას ვინ დაეძებს, შეიძლება სტადიონიც გვერდზე დარჩეს, „კრუზეიროც“ და ფეხბურთიც.

რიო დე ჟანეიროს სასამართლომ ვანდერლეი ლუშემბურგოს ძველი ცოდვები ამოქექა, შეისწავლა, განსაჯა და 63-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. ბრალდებულმა 5 წელი და სამი თვე ციხეში უნდა გაატაროს.

მოსამართლე გალდი მაგალიაესმა თქვა, რომ მწვრთნელი თავისი შემოსავლებიდან და ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან გადასახადებს სისტემატურად მალავდა.

ლუშემბურგოს ადვოკატებს 15 დღის განმავლობაში განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვთ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

შვედეთი

30-13 ტური: ენკოპინგი — სუნდსვალი 3:1; ჰალმსტადი — იოსტერი 3:0; ლანდსკრონა — იორებრო 0:0. ელფსბორგი — მალმიო და გიოტებორგი — აიკ წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

იურგორდენი	12	8	1	3	28:9	25
ჰამარბი	12	6	4	2	17:14	22
მალმიო	12	6	3	3	22:12	21
აიკ	12	6	3	3	20:13	21
იორებრო	13	6	3	4	19:18	21
ჰალმსტადი	13	6	2	5	22:18	20
ჰელსინგბორგი	12	5	3	4	14:19	18
იორგრიტე	12	5	2	5	17:20	17
გიოტებორგი	12	4	4	4	18:12	16
ელფსბორგი	12	4	4	4	15:19	16
ლანდსკრონა	13	3	5	5	14:18	14
სუნდსვალი	13	2	5	6	13:19	11
იოსტერი	13	2	3	8	11:24	9
ენკოპინგი	13	2	2	9	13:28	8

ჩილე

აპერტურას ფინალი საბოლოო მატჩი

კოპრელოა 4:0 კოლო კოლო (0:0)

ამხანაგური მატჩები

მეძსიკა 1:2 სალვადორი

0:1 მეხია (30), 0:2 კორალესი (60), 1:2 ოსორნო (77)

აშშ 2:0 პარაგვაი

1:0 დონოვანი (12), 2:0 ე. სტიუარტი (90)

ტრინიდადი 2:2 ვენესუელა

მამის კაცური ცრემლი

გასულ შაბათს მარკ ვივიენ ფოეს ცხედარი კამერუნის დედაქალაქ იაუნდეში ჩასვენეს. მისი ოჯახის წევრებსა და ნაკრების ფეხბურთელებს ქვეყნის პრეზიდენტი პოლ ბია აეროპორტში დახვდა. იქიდან 17-ნომრიანი მაისურით შემოსილი „ლომები“ პრეზიდენტის სასახლეში გაემგზავრნენ. ყოველ მათგანს მკერდზე საგანგებოდ ეწერა: „სამშობლო მარად შენი მადლიერია. მარკ ვივიენ ფოე — 17“.

განსვენებული ქალაქში პატივით გაატარეს და ქუჩებში ათიათასობით მოტირალი გამოვიდა. „მარკი ლომია, ის არ მომკვდარა, მხოლოდ ისვენებს“ — მსგავსი შინაარსისა იყო პლაკატთა უმეტესობა.

ფეხბურთელის მამამ, მარტინ ფოემ შვილი ასე დაიტირა: „მარკ, ცხედარის ნახვამდე შენი სიკვდილის არ მჯეროდა. ეს მართალი ყოფილა. ღმერთის ნებაა, მარკ. მან ორი შვილი მომცა, მაგრამ ერთი თავისთან წაიყვანა“.

ფოე გუშინ იმ სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე დაკრძალეს, რომელიც მისივე ხარჯებით აეშენეს და მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება.

ვაჟა ხუციშვილი

მარკ და მარტინ ფოეები

...ია მისამართები

	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	I სავაჭრო ცენტრი
№46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
№200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
№50	მეტრო „ლრმალელესთან“
...პუსი №11	
...1	
№ 3	
№91	
3	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
...რიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
„აბ“ კორპუსი №48	
	ტელეკომპანია „იბერიონის“ შენობაში
	ცენტრალური ავტოსადგური
№11	წმინდანყლის დასახლება
1	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ყოფილი გორკის ქუჩა
	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)

ინგლისური ტრანსფერები 2003

არსენალი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
სიმენი (მანჩესტერ სიტი)

ასტონ ვილა

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
ი. ტეილორი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ა. რაიტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლეონარდსენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ბირმინგემი

მოვიდნენ
...ეიუგარი (ბორდო, საფრანგეთი)
დ. დანი (ბლექბერნი)

წავიდნენ
კლინტ დევისი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მერიოტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მუნი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიკერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ბლექბერნი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
ჰ. ბერგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კორბეტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გილესპი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დ. დანი (ბირმინგემი)

ბოლტონი

მოვიდნენ
იანაკოპულოსი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი)
კევინ დევისი (საუთჰემპტონი)
ლავილი (ლიონი, საფრანგეთი)

წავიდნენ
კ. არმსტრონგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბერგსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვარპურსტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კ. ჰენდრი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტოფტინგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ჩარლტონი

მოვიდნენ
ჰოლანდი (იფსვიჩი)
როისი (ლესტერი)

წავიდნენ
ბლომკვისტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯ. რობინსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ელ ხალეჯი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მასტო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლესტერი

მოვიდნენ
პაუი (მანჩესტერ სიტი)
ბროკერი (ბრაიტონი)
შიმეკა (ნოტინგემი)

წავიდნენ
იდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ს. ოუქსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
როისი (ჩარლტონი)
სამერბი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფლაუერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლიდსი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
ბარნსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლუკიჩი (ლევერკუზენი, გერმანია)
ნიუვეი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ლივერპული

მოვიდნენ
სინამა-პონგოლე (ლე ავრი, საფრანგეთი)
ლე ტალეკი (ლე ავრი, საფრანგეთი)

წავიდნენ
არპეშადი (პორტსმუთი)
ბერგერი (პორტსმუთი)
დიომედი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰეგემი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნიკოლასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაკნალთი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პეერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მანჩესტერ სიტი

მოვიდნენ
სიმენი (არსენალი)
ტარნატი (ბაიერნი, გერმანია)

წავიდნენ
შმაიხელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მანჩესტერი

მოვიდნენ
ბელიონი (სანდერლენდი)
ნგალულა (ანდერლეხტი, ბელგია)
ჯემბა-ჯემბა (ნანტი, საფრანგეთი)

წავიდნენ
ბექემი (რეალი, ესპანეთი)
ბლანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მეი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
როჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფოქსი (ანტვერპენი, ბელგია)
ჰითი (ანტვერპენი, ბელგია)
რანკინი (როს ქაუნთი, შოტლანდია)

მიდლსბრო

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
უინდასი (ბრედფორდი)
ბოკშიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რობერტსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტ. ვიდმარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ნიუკასლი

მოვიდნენ
ბოიერი (ვესტ ჰემი)

წავიდნენ
კენდრიკი (მიუნხენი, გერმანია)
კარელსე (კონტრაქტი დაუმთავრდა)

პორტსმუთი

მოვიდნენ
ბერგერი (ლივერპული)
სტეფანოვიჩი (ვიტესი, ჰოლანდია)
შერინგემი (ტოტენჰემი)
არპეშადი (ლივერპული)

წავიდნენ
ქროუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტაილერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნაითინგეილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მოლენო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვაითი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფესტა (კალიარი, იტალია)

საუთჰემპტონი

მოვიდნენ
კენტონი (ნორვიჩი)
ჰიგინბოთემი (დერბი ქაუნთი)

წავიდნენ
კევინ დევისი (ბოლტონი)

ტოტენჰემი

მოვიდნენ
პოსტიგა (პორტუ, პორტუგალია)

წავიდნენ
შერინგემი (პორტსმუთი)
ფროინდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტელველი (ჰალი)

ვულვერჰემპტონი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
ბრენჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მ. კამარა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოლე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კენი კოულმენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოლეტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ერიკ ჯემბა-ჯემბამ „მანჩესტერში“ დევიდ ბექემი უნდა შეცვალოს

ჩელსი

მოვიდნენ
მახო (სანდერლენდი)
ამბროზიო (კიევო, იტალია)

წავიდნენ
ძოლა (კალიარი, იტალია)
ჯ. მორისი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დე გუი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფერერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ევანსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ე. როსი (პარტიკი, შოტლანდია)
დე ლუკასი (ალავესი, ესპანეთი)

ევერტონი

მოვიდნენ
იობო (მარსელი, საფრანგეთი)

წავიდნენ
როდრიგო კოშტა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ფულემი

მოვიდნენ
არავინ

წავიდნენ
კოლინზი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გოლდბეკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

...ლი: კრიკ...

...ოგიდგენთ

...ოს თბილისურ ბიროებში ...ქანდეთ ნებისმიერი ვალუტით

რიგერელებმა საჩემპიონო ...ები დაიხუ...

მოგებულთა წ...

არგენტინა

კლაუსურა. XIX ტური

არხენალი — ხიმნასია 0:0; კოლონი — ველეზი 1:0; ჩაკარიტა — ოლდ ბოიზი 1:2; ტალიერესი — ლანუსი 1:1; ინდეპენდიენტე — სან ლორენსო 0:1; ნუევა ჩიკაგო — ბანფილდი 0:3; ესტუდიანტესი — უნიონი 2:0; რივერ პლეიტი — რასინგი 1:3; როსარიო — ბოკა ხუნიორსი 7:2. ურაკანი — ოლიმპო 74-ე წუთზე შეწყდა

კლაუსურას ბოლო ტურში ...ლიბერტადორესის თასის მომგებ...ბმა „ბოკა ხუნიორსმა“ 2:7 წაგო...

ლი არავის დაწყვეტია, რადგან ნამდვილი „ბოკა“ იმ დროს მშობლიურ „ბომბონიერას“ სტადიონზე იყო მწვრთნელ კარლოს ბიანკისთან ერთად და თასის მოგებას ზეიმობდა, ხოლო როსარიოში ახალგაზრდული გუნდი ჩასულიყო.

„ბომბონიერაზე“ ზეიმს 40 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდ... ლურჯ-ყვითელ დროშიანმა ხული ნებმა კი ვიტრინებიც დალეწეს, ...ნერიბიც ...ინის და პოლიციას

	1-X	1-2	X-2
	,04	1,2	2,46
	,04	1,25	2,33
	,15	1,26	1,81
	1,3	1,3	1,3
	1,11	1,26	1,95
	1,36	1,28	1,44
	1,09	1,22	2,1
	1,24	1,27	1,64
	1,22	1,25	1,69

			1	X	2	1-X	1-2	X-2
			9 ივლისი					
22.00	010	იურგორდენი-იორგრიტე	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
			ფინეთი. XII ტური					
			10 ივლისი					
20.30	015	კუოპიო-ალიანსი	3,3	3,3	2,05	1,65	1,26	1,26
20.30	016	ტამპერე-იოკერიტი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
			12 ივლისი					
18.00	017	ჰიკ-ტურკუ	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
			13 ივლისი					
20.30	018	ჰაამეენლინა-ჯაზი	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
20.30	019	ინტერი-მიუპა	3,2	3,3	2,1	1,62	1,26	1,28
20.30	020	კტპ-იარო	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
20.30	021	ლაპტი-ჰაკა	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
			ავსტრია. სუპერთასი. 12 ივლისი					
19.20	022	აუსტრია-კერნტენი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46

interwetten.com

ინტერვეტენი (ავსტრია)

ოთხთა ტურნირი

8 ივლისი

გრასჰოპერი (შვეიცარია) — პარტიზანი (სერბეთი) ------- 1,9 ------ 3,2 ------- 2,9

10 ივლისი

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — რაპიდი (რუმინეთი) - 1,65 ------ 3,4 ------- 3,6

შვედეთი. თასი

9 ივლისი

იორებრო — ასირისკა ---------- 1,25 ------ 4,5 ------- 7,0

შვედეთი. XIII ტური

8 ივლისი

ჰამარბი — ჰელსინგბორგი ---------- 1,85 ------- 3,1 ------- 3,2

9 ივლისი

იურგორდენი — იორგრიტე ---------- 1,55 ------- 3,3 ------- 4,5

ფინეთი. XII ტური

10 ივლისი

კუოპიო — ალიანსი ---------- 3,4 ------- 3,1 ------- 1,8

ტამპერე — იოკერიტი ---------- 1,7 ------- 3,1 ------- 3,8

book infoworld p2p

ბუმბუკერსი (ინგლისი -ავსტრია)

შვედეთი. XIII ტური

8 ივლისი

ჰამარბი — ჰელსინგბორგი ---------- 1,95 ------ 3,2 ------- 3,5

9 ივლისი

იურგორდენი — იორგრიტე ---------- 1,6 ------- 3,6 ------- 5,0

William HILL

უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

შვედეთი. XIII ტური

8 ივლისი

ჰამარბი — ჰელსინგბორგი ---------- 2,05 ------ 3,15 ------- 3,0

9 ივლისი

იურგორდენი — იორგრიტე ---------- 1,5 ----- 3,55 ----- 5,25

WETTBÜRO Jeder kann gewinnen SCHWECHAT

ვეტენ შვეჰატი (ავსტრია)

ფინეთი. XII ტური

10 ივლისი

კუოპიო — ალიანსი ---------- 3,0 ------- 3,3 ------- 1,9

ტამპერე — იოკერიტი ---------- 1,55 ------- 3,6 ------- 4,2

ამხანაგური მატჩები

8 ივლისი

ზალცბურგი (ავსტრია) — უნტერჰახინგი (გერმანია) -- 1,55 ------- 3,6 ------- 4,2

ალემანია (გერმანია) — მიონხენგლადბახი (გერმანია) --- 3,3 ------- 3,3 ------- 1,8

9 ივლისი

აუსტრია (ავსტრია) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) ---- 1,65 ------ 3,4 ------- 3,8

სოშო (საფრანგეთი) — სერვეტი (შვეიცარია) ---------- 1,5 ------ 3,4 ------- 4,8

10 ივლისი

დუისბურგი (გერმანია) — ლევერკუზენი (გერმანია) ---- 3,7 ------- 3,3 ------- 1,7

სლავია (ჩეხეთი) — ჰანოვერი (გერმანია) ---------- 2,0 ------- 3,3 ------- 2,8

ვატენშაიდი (გერმანია) — გალათასარაი (თურქეთი) ---- 5,5 ------- 3,8 ------- 1,4

შვედეთი. XIII ტური

8 ივლისი

ჰამარბი — ჰელსინგბორგი ---------- 1,9 ------ 3,2 ------- 3,1

9 ივლისი

იურგორდენი — იორგრიტე ---------- 1,5 ------- 3,6 ------- 4,5

შვედეთი. თასი

9 ივლისი

იორებრო — ასირისკა ---------- 1,25 ------ 4,2 ------- 7,5

ოთხთა ტურნირი

8 ივლისი

გრასჰოპერი (შვეიცარია) — პარტიზანი (სერბეთი) ------- 1,8 ------ 3,2 ------- 3,4

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — რაპიდი (რუმინეთი) --- 1,7 ------- 3,3 ------- 3,7

ბრაზილია. XVII ტური

9 ივლისი

კორინთიანსი — სანტოსი ---------- 2,2 ------ 3,2 ------- 2,5

ბაია — გუარანი ---------- 1,7 ------ 3,2 ------- 3,8

კრუზეირო — ფორტალეზა ---------- 1,2 ------ 5,0 ------- 7,5

ფლამენგო — ჟუვენტუდე ---------- 1,65 ------- 3,3 ------- 3,9

გოიასი — ვიტორია ---------- 1,9 ------- 3,3 ------- 3,0

პარანა — გრემიო ---------- 1,65 ------- 3,3 ------- 3,9

პაისანდუ — ფიგეირენსე ---------- 2,0 ------- 3,3 ------- 2,8

სან კაეტანო — ატლ. პარანენსე ---------- 1,55 ------- 3,6 ------- 4,2

ინტერნასიონალი — ვასკუ და გამა ---------- 1,8 ------ 3,2 ------- 3,4

კურიტიბა — სან პაულუ ---------- 2,0 ------- 3,3 ------- 2,8

10 ივლისი

კრისიუმა — ატლ. მინეირო ---------- 1,9 ------ 3,2 ------- 3,1

პონტე პრეტა — ფლუმინენსე ---------- 1,9 ------ 3,2 ------- 3,1

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაამზუსტეთ

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	აღმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საბარეო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
გორგომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია	
საირმე	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

ნახჭევანში ახალი ქართული სახელი დაიბადა

ნანა ძაგნიძეს მსოფლიოს ჩემპიონობა არ ემძიმა



მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროში რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაიქუხა ქართველი მანდილოსნის სახელმა, თუმც ჯერჯერობით ახალგაზრდათა შორის. გასულ კვირას ნახჭევანში დასრულებულ 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენმა 16 წლის თანამემამულემ ნანა ძაგნიძემ დიდი უპირატესობით მოიგო ჩემპიონის ტიტული. 11 ჩატარებული შეხვედრიდან ნანამ 8 მოიგო და სამი ყაიმით დაასრულა. ასეთი მაღალი შედეგით კი აქამდე მსოფლიოში გამართულ სხვადასხვა საჭადრაკო შეჯიბრებაში თითო-ოროლა მოჭადრაკე თუ დაიკვეხნის

— ჩემპიონობა ძნელი არ ყოფილა, მით უმეტეს მას შემდეგ, პირველი შვიდი პარტიიდან შვიდივე რომ მოვიგე, თუმცა იმ პარტიებიდან ზოგიერთი რთულიც იყო.

— შენ რომელიმეს თუ გამოარჩევდი?

— ამ ჩემპიონატზე ჩემთვის ყველაზე დაძაბული შეხვედრა, მესამე ტურში მასპინძელ ზეინაბ მამადიაროვასთან გამოდგა. მამადიაროვა 20 წლისაა და საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკეა, ორი წლის წინ თავის ტოლებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და თანაც საკუთარ კედლებში მეთამაშებოდა.

აზერბაიჯანელებმა ამ ჩემპიონატისთვის დიდი დარბაზი გამოყვეს, სადაც გულშემატკივართა საკმაო რაოდენობა ესწრებოდა და თავიანთ თანამემამულეებს მხურვალედ ქომაგობდა. ასე იყო მამედიაროვასთან მატჩისას. თამაშიც ცოტა გამიგრძელდა, განსაკუთრებით კი ცაიტ-ნოტში ვინერვიულე, თუმც შემდეგ ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ დასრულდა და ამის უფრო მომეცა შემდეგ ჩემპიონობის შანსი.

— როგორც ვიცი, ამ გამარჯვებით „დიდ" მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვე.

— დიახ, ასეა, თან მალე დიდოსტატის წოდებასაც მომანიჭებენ.

— ბოლო ერთ თვეში, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ეს შენი ზედიზედ მეორე დიდი შეჯიბრი იყო...

— წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი ჩემთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება გამოდგა. იქ უძლიერესი მეტოქეები შემხვდა — ნატალია ჟუკოვა, ანტონეტა სტეფანოვა, ეკატერინა კოვალენსკაია... ყველასთან კარგად ვითამაშე, თუმც მერე გადამწყვეტ ტურებში წავაგე. ბოლო ტურში გამარჯვების შემთხვევაში წარმატების გარკვეულ შანსს ვინარჩუნებდი და ტაი-ბრეიკსაც ვითამაშებდი, მაგრამ არც იქ გამიღიმა ბედმა და საბოლოოდ 38-ე ადგილზე გავედი.

— დავუბრუნდეთ ახალგაზრდულ ჩემპიონატს. ჩვენი ვაჟების გამოსვლას როგორ შეაფასებდი?

— ჩვენ ვაჟებში ყველაზე უკეთესი შედეგი ლევან ფანცულაიამ აჩვენა, იგი მეათე ადგილზე გავიდა, თუმცა მეტის მიღწევაც შეეძლო.

ზვიად იზორიასგან, როგორც ახალგაზრდათა შორის ევროპის შარშანდელი ჩემპიონისგან, მეტს ველოდით. ეს უკვე ზედიზედ მეხუთე დიდი შეჯიბრი იყო მისთვის და ზვიადის ასეთი გამოსვლა შეიძლება, მის გადაღლასაც მივაწეროთ.



ნანა ძაგნიძე (მარჯვნივ) არც გართობაზე ამბობს უარს

— კიდევ რას გაიხსენებდი ამ ჩემპიონატიდან?

— ჩემპიონატზე საკმაოდ დაეუახლოვდი რუმინელ მსაჯ ელიზაბეტა პოლიხონიადეს, რომელიც თავის ქვეყანაში ასევე საჭადრაკო ჟურნალის ჟურნალისტიცაა. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ჩემთან ინტერვიუს ასაღებად მოვიდა, გამარჯვება მომილოცა და მითხრა: „თავიდან შენს თამაშებს რომ ვუყურებდი, მივხვდი ჩემპიონი რომ გახდებოდი, მაგრამ ყველას ასე ავტომატივით თუ გადაუვლიდი, ნამდვილად არ მეგონაო." სხვათა შორის, ამ ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თავიდან არ იყო ცნობილი, რომ აქ გამარჯვებული დიდ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებდა, ჰოდა, ეს ამბავიც პოლიხონიადემ მახარა.

— ახლა რა გეგმები გაქვს?

— ჯერჯერობით არ ვიცი, რადგან ამ წარმატების შემდეგ სხვადასხვა დიდ ტურნირზე მიმიწვიეს და რომელზე გავემგზავრები, ჯერ არ გადამიწყვეტია.

ლაშა გეგეჭკორი

მესინამ მარკოიშვილს საშობაოდ მსაჯი აჩუქა



16 წლის მანუჩარ მარკოიშვილი შარშან ტრევიზოს „ბენეტონში“ რომ გადავიდა, საერთო ვარაუდით, მას ევროპულ გრანდში დასამკვიდრებლად ძალა და კლასი არ ეყოფოდა — ალბათ შედარებით სუსტ გუნდში გაანათხოვრებენო. შესაძლოა, საქართველოს ვაი-ჩემპიონატიდან გამოსულ მარკოიშვილს კლასი მართლაც დაეწუნებოდა, მაგრამ წინსვლის სურვილი თავად ბენეტონელებზე ნაკლები როდი აღმოაჩნდა და მუყაითი შრომით იტალიური გრანდის ძირითადშიც მალე დაიბევა ადგილი. ტრევიზოდან რომ მოვდიოდი, გამაფრთხილეს, მოტოციკლზე არ დაჯდე და არც თხილამურებს გაეკაროო — გვეუბნება მარკოიშვილი — მომავალ სეზონს „ბენეტონში“ ითამაშებ და გვინდა, ჯანმრთელი დაგვიბრუნდეო. ახლა მარკოიშვილი რაჭაშია, ისვენებს, წასვლამდე კი რედაქციაში გვეწვია...

— სანამ ტრევიზოს ამბებს მოყვებოდე, ორი სიტყვით წარსული გაიხსენე. რატომ გადაწყვიტე კალათბურთელობა, ვინ იყო შენი პირველი მწვრთნელი?

— სხვათა შორის, კალათბურთელობაზე თავიდან არც ვფიქრობდი. ბიძაჩემი, სოსო დეკანოიძე სუხიშვილების ანსამბლში ცეკვავდა და მეც მის კვალს დავადექი. ვცეკვავდი და წარმატებითაც, მაგრამ ერთ დღეს, ჩემმა ძმამ გიორგიმ სახლში საუკეთესო მოთამაშის პრიზი მოიტანა, მისმა გუნდმა კი ბავშვთა ლიგა მოიგო კალათბურთში. ის დღე იყო და ცეკვისკენ აღარც გამიხედავს, კალათბურთზე შევედი. ასე, 12 წლის ვიქნებოდი.

— პირველი ნაბიჯები ძნელი ხომ არ იყო?

— ერთადერთი რაც მეძნელებოდა, ვარჯიშებზე მისვლა და იქიდან სახლში დაბრუნება იყო. დარბაზი მოშორებით იყო, მე და დედაჩემი გზაში ვწვალდებოდით-ხოლმე. ვარჯიშებს კი უფრო გართობითი ხასიათი ჰქონდა, მეგობრებიც გავიჩინე და გვიხაროდა ერთად ბურთის თამაში. ჩემი პირველი მწვრთნელი ზურაბ სამხარაძე ხალისით უძღვებოდა ვარჯიშებს.

— პირველი წარმატება...

— ბავშვთა ლიგის მოგება. შემდეგ, „ბასკოში“ საქართველოს ჩემპიონობა და, რაღა თქმა უნდა, „ბენეტონი“.

— ყველაზე დიდი წარმატება, ცხადია, „ბასკოდან“ იტალიურ გრანდში გადასვლაა. რა იყო ამხელა ნახტომის საფუძველი?

— მრავალი რამ, მაგრამ მთავარი მაინც პაველ გოოგეს ფაქტორია. გოოგეს დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს განვითარებაში და არა მარტო როგორც კალათბურთელის, პიროვნულადაც ბევრი რამ შევითვისე მისგან. გოოგესთან „ბასკოში“ მუშაობის შემდეგ „ბენეტონის“ ვარჯიშებს იოლად ავუღე ალღო. ამას ძირითადად დისციპლინაზე ვამბობ.

— მხოლოდ დისციპლინა ვერ დაგეხმარებოდა „ბენეტონის“ ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად...

— ტრევიზოელებმა გუნდში ამიყვანეს, როგორც პერსპექტიული მოთამაშე და არა, როგორც უკვე ჩამოყალიბებული კალათბურთელი. ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული, მე კი მიზნად ძირითად გუნდში მოხვედრა დავისახე. დღე და ღამ მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი, სხვა არაფერი მაინტერესებდა. ხშირად ვარჯიშზე ადრიანად მივსულვარ და გვიან წამოვსულვარ, არაფერს ვიზარებდი. მწვრთნელები ყველაფერს ამჩნევდნენ და თუმცა დიდი მოთამაშე არ ვიყავი, შრომა მაინც დამიფასეს.

— მწვრთნელების ნდობის მოსაპოვებლად ნახევარი სეზონი დაგჭირდა, თებერვლიდან უკვე ხშირად იყავი ძირითად შემადგენლობაში...

— ჰო, თებერვალში იტალიის თასის მატჩები გვქონდა, ერთ საღამოს მწვრთნელმა ეტორე მესინამ თავისთან რომ დამიბარა. ძალიან თბილად მელაპარაკა — გადავწყვიტეთ, შანსი მოგცეთ, იშტვან ნემეტის ნაცვლად ხვალიდან შენ იქნები ძირითად ათ კაცშიო. ისიც მითხრა, რატომ გადაწყვიტა ასე. შენ რომ მონდომებული ხარ, ნემეტი იმის ნახევრის ნახევარიც რომ იყოს, ამას არ გავაკეთებდი. კლასით მას კი ჩამოუვარდები, მაგრამ ახალგაზრდა ხარ და პერსპექტივაც მეტი გაქვს. თავიდან 5-10 წუთს ითამაშებ, თუმცა ამ მცირე ხანში, იცოდე, ბევრის გაკეთება შეგიძლია გუნდისთვისო. ისე გამიხარდა, იმ ღამეს ვერ დავიძინე.

— ორი სიტყვით როგორია „ბენეტონი“?

— უძლიერესი და მეგობრული.

— ვისთან მეგობრობ?

— ყველა ბენეტონელი ჩემი მეგობარია, უფრო ახლოს კი კრესიმირ ლონჩართან ვარ. ალბათ იმიტომ, რომ ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და თითქმის სულ ერთად ვიყავით.

— ლონჩარი წლევანდელ დრაფტზე იდგა, მაგრამ ბოლო წამს უარი თქვა მონაწილეობაზე. ალბათ, გაგიხარდა, რომ საუკეთესო მეგობრის გარეშე არ დარჩი „ბენეტონში“...

— არა, სამწუხაროდ, ლონჩარი მაინც წავიდა, უფრო სწორად, გუნდიდან გაუშვეს. კონტრაქტის თანახმად, მომავალ სეზონში მას გაცილებით მეტი ხელფასი უნდა აეღო, ვიდრე აქამდე ჰქონდა და კლუბმა მისი მოცილება გადაწყვიტა.

— ახლა რომელ ბენეტონელთან იძმაკაცებ?

— ჯაკომო სერენისთან. სხვათა შორის, სერენიმ საკმაოდ ბევრი ქართული სიტყვა იცის, ხანდახან იგინება კიდეც..

— 13-ნომრიანი მაისურა შენ აირჩიე?

— ჰო, სულ მაღალ-მაღალი ნომრები იყო თავისუფალი და ყველაზე დაბალს დავადე ხელი.

— კახა კალაძის გამო ხომ არა?

— არა, მაგრამ „ბენეტონის“ მენეჯერმაც ასე იფიქრა და კახიო, მეძახდა.

— შენი საუკეთესო მატჩი „ბენეტონში“...

— „კანტუსთან“, 21 წუთში 19 ქულა ჩავაგდე.

— სწორედ ამ მატჩს მოჰყვა საგაზეთო სათაურები იტალიურ პრესაში: „ფანტასტიკური მარკოიშვილი“ და ა.შ.

— მცირე ინტერვიუები მანამდეც მქონდა, ადგილობრივი პრესა ყურადღებას არ მაკლებდა. „კანტუსთან“ თამაშის შემდეგ კი რომიდანაც შემეხმიანნენ, „გაძეტა დელო სპორტმა“ ინტერვიუ მთხოვა.

— რას ფიქრობ, ევროგრანდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა შენი მაქსიმუმია?

— ამ ეტაპზე ასეა. ახლა „ბენეტონის“ ერთ-ერთ ლიდერად გახდომას დავისახავ მიზნად, ასაკიც მომემატება და მერე უკვე ნბა-ზეც შეიძლება ფიქრი.

— ევროპის საუკეთესო კლუბი...

— ევროლიგის ფინალი „ბარსელონამ“ მოგვიგო, მაგრამ მე მაინც არ ვითამაშებდი იქ. საუკეთესოდ „ბენეტონს“ მივიჩნევ.

— ევროპის საუკეთესო კალათბურთელი და მწვრთნელი...

— ალბათ მაინც დეიან ბოდიროგა, მაგრამ არც ტაიუს იდნგა ნაკლები.

— კურიოზს ვერ გაიხსენებ?

— ბლომად შემემთხვა, მაგრამ ამ წუთას ეს გამახსენდა: შობის წინა დღეები იყო, ჩვეულებრივი ვარჯიში გვქონდა, ერთმანეთში ვთამაშობდით. „ბენეტონში“ ასეთი წესია, ვარჯიშისას ახალგაზრდა აშკარად თუ არ დაამტვრიეს, ჯარიმას არ უსტვენენ. ერთხელ ჩამცხეს, მეორედ... მესინა კი ზედაც არ მიყურებს. ერთ ეპიზოდში, ჰაერში ამხტარს დამეჯახნენ. კინაღამ წელში გადავტყდი, მაგრამ ვითომც არაფერი. აშკარად შემემჩნა გაღიზიანება, მესინამ თამაში შეწყვიტა და მითხრა, შობისთვის ერთ მსაჯს გაჩუქებ და ის დაუსტვენს შენთვის ჯარიმებსო. გუნდელებს სალაპარაკო გაუჩნდათ და მთელი კვირა ამას იხსენებდნენ.

— დაბოლოს: როგორი იყო შენთვის იტალიური სეზონი და რას ელი მომავლისგან?

— ყველაზე მეტად სწორედ ამ სეზონში მოვუმატე, მაგრამ ჯობს სხვამ შემაფასოს. ვეცდები, მომავალი სეზონი ჩემთვის უკეთესი იყოს.

ირაკლი პერტაია

კობიმ ძალა იხმარა?

კოლორადოში სამკურნალოდ ჩასულმა ბრაიანტმა პოლიციაში ამოყო თავი

„ლეიკერსისა“ და ნბა-ს სუპერვარსკვლავ კობი ბრაიანტს სადღესასწაულო განწყობა წაემურდლა. იმის მაგივრად, რომ 4 ივლისს დამოუკიდებლობის დღე ეზეიმა, ბრაიანტს კოლორადოს შტატის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში იძულებით სტუმრობამ მოუწია — კობის უმძიმეს დანაშაულში, სექსუალურ ძალადობაში ედება ბრალი. ბრაიანტმა სამართალდამცავებს 25 ათასი დოლარი ჩაუთვალა, რითაც სასამართლო პროცესამდე თავისუფლება კი იყიდა, მაგრამ, ისე ჩანს, ასე იოლად ბოლომდე ვერ დაიძვრენს თავს.

უფრო კონკრეტულად ბრაიანტის ბრალდებაზე: კოლორადოს ერთ-ერთი ოლქის პოლიციაში მავანმა ქალბატონმა საჩივარი შეიტანა, 30 ივნისს „ედვარდსის“ სასტუმროში ჩემზე ძალა იხმარეს და ის ვაჟბატონი დასტურ კობი ბრაიანტი იყოო. კოლორადოელი შერიფის ბრძანებით, არაერთი პირი დაიკითხა და ქალბატონის განცხადებამ დამაჯერებლობა შეიძინა. შერიფმაც დაპატიმრების ორდერის მოსაპოვებლად შტატის მოსამართლე რასელ გრანგერს მიაკითხა და მიიღო კიდეც, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ლეიკერსელი სუპერვარსკვლავი ახლა თავისუფალი კია, მაგრამ თავისი ზეგუნდის ვარჯიშზე რომც იოფლებოდეს, სასამართლოს პირველივე დაძახებაზე ყველაფერი უნდა მიატოვოს და გამოცხადდეს იქ, სადაც ჯერ არს.

საიდ ლოს ანჯელესი და საიდ კოლორადოო — თუ ეს კითხვა გაგიჩნდებათ, მოგიგებთ, რომ ბრაიანტის კოლორადოში ყოფნა ამ დღეებში სწორედაც რომ მოსალოდნელი იყო. ამ შტატში მდებარეობს ცნობილი სამედიცინო კლინიკა, რომელშიც მეტად შეძლებული სპორტსმენები მკურნალობენ. ბრაიანტს 12 ივნისის შემდეგ მხრის ტკივილი სტანჯავდა და ოპერაციაც სწორედ ამ კლინიკაში გაიკეთა. ახლა კობი გასასინჯად თუ ჩავიდა და ნახეთ, რა ამბები დაუტრიალებია...



კობი ბრაიანტს მისთანა ცოლი ჰყავს და სასტუმროებში გოგონებს კი ეტოლიალება



ფოტო: ფოლიანოვი

აკადემიამ აკადემიური პილო, ლოკომოტივი ვერა აგი აია იგი ია არაა!

პირველი მატჩები

6 ივლისი. თბილისი

ლოკომოტივი 31:7 აკადემია

ლოკომოტივი: ასათიანი, გუგავა, გიგაური, ალანია, ძნელაძე, კვინიხიძე, სამხარაძე; კერესელიძე (ქელიძე), სვანიძე (შელაძე), გასვიანი (მაჭუტაძე), დათუნაშვილი, ბერძენიშვილი (სორდია), ა. კობახიძე, ხაბულიანი (კ. კობახიძე), ცხადაია
ქლ: გუგავა, ბერძენიშვილი, სამხარაძე; 2გ: კვინიხიძე; 4ს: კვინიხიძე
აკადემია: სუთიძე, ბატიანი, მაჩხანელი, კაპანაძე, ქავთარაშვილი, ელიზბარაშვილი, ქოპილაშვილი, მჭედლიძე; ბალახაშვილი, ბანდელაძე, ზურაქიშვილი, გელაძე, პაპაშვილი, უნავა, ობოლაძე
ქლ: ობოლაძე; 1გ: ელიზბარაშვილი
მსაჯი: ზაზა ლეფავა

6 ივლისი. ქუთაისი

აია 14:13 დათვები

აია: ე. ძაგნიძე, კ. ელოშვილი, თ. აშვეთია, ნამჩევაძე (ტყაბლაძე), ლილუაშვილი, ზვიადაძე, კ. გიორგაძე (ი. სორდია); ბუხაიძე (ქევანეიშვილი), კუხიანიძე (ცნობილაძე), კოპალიანი, ბაგლოვი, მინაძე (გაბუნია), საყვარელიძე
ქლ: კ. ელოშვილი; 3ს: ე. ძაგნიძე
დათვები: მაჩიტიძე, სვინტრაძე (ევგენიძე), ბინჩუკოვი, იურინი, ხონელიძე, ჩუბინიძე, კიკაჩეიშვილი; ღლონტი (მოქია), ბალანნიკაძე (გურეშიძე), ნინიძე, ბერიძე, კიკვიძე (ალიქაძე), ცხვედიანი, სვანიძე (ხაფომია), ჩირგაძე
ქლ: გურეშიძე; 1გ: მაჩიტიძე, 2ს: მაჩიტიძე
მსაჯი: ლევან მგელაძე

საქართველოს ჩემპიონატი ალბათ აგვისტოში დაიწყება. თუმცა, იქამდე კარგა ხანი რჩება, ქართული კლუბები დროს უქმად არ კარგავენ — საქართველოს თასის გათამაშება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

ამ უქმეებზე ნახევარფინალების პირველი მატჩები გაიმართა — თბილისში „ლოკომოტივმა" „აკადემია" ისტუმრა, ხოლო, აღორძინებული ქუთაისის „აია" ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს ბათუმის „დათვებს" დაუხვდა.

სასწაული უნდა მოხდეს, თბილისის „ლოკომოტივი" ფინალში რომ ვერ გავიდეს. რკინიგზელებმა „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე 31:7 დაამარცხეს საკმაოდ მომძლავრებული „აკადემია" და ერთი კვირის თავზე, გასამართი საპასუხო მატჩის წინ სოლიდური ჰანდიკაპი დაიბევეს.

მატჩის და ალბათ მთლიანად ამ ნახევარფინალური წყვილის ბედი პრაქტიკულად პირველივე ტაიმში გადაწყდა, რომელიც „ლოკომოტივმა" 17:0 მოიგო. რკინიგზელებმა მეორე ორმოცწუთეულში თავიანთ მონაგარს წყვილი ლელო-გარდასახვა მიაყოლეს და პასუხად მხოლოდ ერთი ლელო მიიღეს.

„ლოკომოტივი" საბრძოლო შემადგენლობით დაუპირისპირდა „აკადემიას", რომელსაც შარშან „დათვების" შემადგენლობაში გაჩემპიონებული და წინა კვირას თბილისის შვიდკაცას მომგები დავით კიკნაძე აკლდა. კიკნაძე აკადემიელთა მე-10 ნომერი და მათი შეტევების სულისჩამდგმელია. ალბათ ამიტომაც აკადემიელებმა ვერაფრით დაალაგეს შეტევები — მხოლოდ ეპიზოდურად თუ აფორიაქებდნენ ხოლმე მეტოქის დაცვას. მათი ერთადერთი ლელოც რკინიგზელთა შეცდომას მოჰყვა. ეს ლელო ოდესღაც ბორჯღალოსანთა კაპიტანმა, უბერებელმა დიმიტრი ობოლაძემ გაიტანა.

ამ წყვილისგან განსხვავებით ფრიადი ინტრიგა შერჩა მეორე ნახევარფინალურ ჯახს. წელგამართულმა „აიამ" შინ 14:13 დაამცხა ბათუმის „დათვები", მაგრამ სტუმრად დიდი ბრძოლა ელის. სხვათა შორის, აიელებმა დაიბრუნეს თითქმის ყველა ქუთაისელი მორაგბე, რომლებიც ბოლო წლებში ბათუმში თამაშობდნენ და „დათვები" ორჯერ აჩემპიონეს.

ბაჩო სვანიძე



ფოტო: ჯემილიანის ფოტო

ავქსენტი გიორგაძე როვიგოში რჩება

საქართველოს ნაკრების ჰუკერი (მე-2 ნომერი) აქვსენტი გიორგაძე კვლავაც იტალიური „როვიგოს" შერკინებას გაამაგრებს. გიორგაძემ ერთი წლით გაიხანგრძლივა ამ კლუბთან კონტრაქტი.

აქვსენტი გიორგაძეს, რომელსაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი შერკინების ტეინს ეძახის, წარმატებული იტალიური სეზონი ჰქონდა. მან იტალიურ „ოლ სტარშიც" ითამაშა და ლეგიონერთა ნაკრების შემადგენლობაში „სკუადრა აძურას" ლელოც გაუტანა.

შეგახსენებთ, რომ „როვიგოში" კიდევ ერთი ქართველი, ბორჯღალოსანთა კაპიტანი ილია ზედგინიძეც თამაშობდა, მაგრამ ილომ აღარ ისურვა იტალიაში დარჩენა, მას ინგლისში ან ავსტრალიაში თამაში სურს.

ტურ დე ფრანსი 2003

არმსტრონგმა ამოხეთქა

ამ შაბათს პარიზში სეზონის უპრესტიჟულესი ველოტური ტურ დე ფრანსი დაიწყო. 21-დღიანი მომქანცველი აღმა-დაღმა პედლაობა პარიზში ეიფილის კოშკთან დაიწყო და პარიზშივე ელისეს მინდვრებზე დასრულდება.

როგორც ყველა შეჯიბრის, ტურ დე ფრანსსაც ჰყავს თავისი ფავორიტები — ამ უპრესტიჟულესი რბოლის ოთხგზის ტრიუმფატორი ამერიკელი ლენს არმსტრონგი, გერმანელები — იან ულრიხი და ერიკ ცაბელი, იტალიელები — ჯილბერტო სიმონი და ალესანდრო პეტაკი და ბოლოს შეუპოვარი ავსტრალიელი რობი მაკივენი, რომელმაც წლევანდელი ჯირო შუა გზაზე იმიტომ მიატოვა, რომ ტურ დე ფრანსისთვის ენერგია გაეზოგა.

წლევანდელი ტურის მომავალი გამარჯვებულიც ამათ შორის უნდა ვეძებოთ, რაკი ველორბოლაში არაფერი ხდება შემთხვევით და უსერიოზულეს გამოცდას მხოლოდ ნარჩევი „მხედრები" უძლებენ.

ტურის 6,5-კილომეტრიანი პროლოგი ავსტრალიელმა ბრედლი მაკგიმ მოიგო. იგი ფრანგული გუნდის „FDJEAUX.COM"-ის წევრია და ყვითელი მაისურა თვით არმსტრონგისგან ჩაიბრა, რომელსაც ტურის ორგანიზატორებმა სთხოვეს, ძველი დამსახურების გამო რბოლა ყვითელი მაისურით დაეწყო.

სენ დენიდან მომდე გაჭიმული 168-კილომეტრიანი პირველი ეტაპი კი იტალიელმა ალესანდრო პეტაკიმ მოიგო. პეტაკის კვალდაკვალ მიჰყვნენ რობი მაკივენი, ერიკ ცაბელი, პაოლო ბეტონი და ბადენ კუკი, მაგრამ ფინიშთან იტალიელის ორთვალამ წამით მიასწრო დანარჩენებისას.

ლენს არმსტრონგი და პროლოგის მომგები მაკგი და სხვანი კი საშინელ ზედახროვაში მოყვნენ, რომელიც ეტაპის ბოლო 60-კილომეტრიან მონაკვეთზე მოხდა. ყველაფერი ესპანელმა ხოსე ენრიკე გუტიერესმა „აურია" — უნებლიეთ თუ ნებით წაიქცა და სხვა მრბოლელებიც ჩაიყოლა. კარგა მოზრდილ ზედახორაში მოყოლილი არმსტრონგი შედარებით იოლად გადარჩა, მას მხოლოდ ველოს გამოცვლა დასჭირდა, მაგრამ დაშავდა შვიდი მრბოლი, რომელთაგან ამერიკელი ტეილორ ჰამილტონი ლავიწის ძვლის მოტეხილობით სასწარფოდ საავადმყოფოში გააქანეს.

„გუტიერესი არაკაცურად მოიქცა, მან თავზედური მანევრით საფრთხეში ჩააგდო მრბოლთა სიცოცხლეები. მისი ბედი, რომ ყველაფერი უმსხვერპლოდ დასრულდა" — ბრაზს არ მალავდა არმსტრონგი.

გუტიერესის საქციელს ტურის ტენიკური კომისია განიხილავს და გამორიცხული არ არის, ესპანელი საერთოდ მოკვეთონ რბოლიდან.

ბაჩო სვანიძე

1 ეტაპი. 6 ივლისი

სენ დენი — მო 168 კმ

1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) 3სთ 44წთ 33წმ
2 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)
3 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტელეკომი) ორივე იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ბრედლი მაკგი (ავსტრალია, FDJEAUX.COM) 3სთ 51წთ 55წმ
2 დეივიდ მილარი (ბრიტანეთი, კოფიდისი) +4წმ
3 აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ეუსკალტელი) +6წმ



REUTERS ბარი ზიდან

ლენს არმსტრონგი ყოჩაღად კი გამოიყურება, მაგრამ პირველივე ეტაპზე ზედახორაში მოყვა და გუნება გაუფუჭდა

უიმბლდონი 2003 საპრიზო 17 074 000 $

ბიჭი ხარ და, მოიწოდე, ბიჭი ვარ და, დაგხვდები

ფედერერმა ფილიპუსისს ხელი მაგრად შეუბრუნა

REUTERS ლონდონიდან

უკვე საბანკეტოდ გამოწკეპილი ჩემპიონები როჯერ ფედერერი და სერენა უილიამსი

ფინალები

ერთეულები

კაცები

როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 6:2, 7:6 (7:3)

ქალები

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ვინუს უილიამსი (4, აშშ) 4:6, 6:4, 6:2

117-ე უიმბლდონობაზე კენტად მოჩოგნავეთა შორის შარშანდლის დარად კვლავაც ჭაბუკები გამოირჩნენ — ოღონდ, ოუკი 21 წლის სერენა უილიამსისთვის ეს უკვე ზედიზედ მეორე საბალახსაფრო სლემტიტულია, მისკენილა შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა რაგინდარა სლემტიტულის მოხვეჭა პირველად შეძლო.

წინა ოთხი უიმბლდონობიდან სამჯერ პირველსავე წრეში ძლეული ალპელი ამ ჯერზე ლონდონური სეფეკოინდრის გასაჯეგად ერთერთ ძთავარფავორიტის რანგით ჩავიდა. ეს რანგი მას ჰალალად შეეფერებოდა, რაკიდა წლეულს ოთხ განსხვავებულ საფარზე ოთხი ტიტულის მომხვეჭს 38 მატჩიდან ამქრისთვის სარეკორდოდ ბევრი, 49 გამარჯვება მოეთვალა.

ეჭვს მხოლოდ მისი ფსიქოსომყარე იწვევდა — ბილეთს არა ერთხელ უნახავს, თუ როგორ მეყსეულად გაფარჩაკებულა ხოლმე როჯერი, რაც ეტაქის უმძაფრეს წინააღმდეგობას ვადასწყდომია. მეხსიერებაში უწინარესად მისი და ლეიტონ ჰიუიტის შარშანდელი სამასტერსტურნირო შეხლა ამოტივტივდება, რომლის დროსაც მან ძალთუმრავლესი ბრეიკბოინტი და ზედაც რამდენიმე მატჩბოინტი კერძ აკანაღდა.

მაგრამ ამ ორ უიმბლდონური კვირის განმავლობაში ბილეთმა ისეთი ფედერერი ეხილა, რომელსაც ჭეშმარიტად შემეძლო პიტ სამპრასის მემკვიდრეობა. მრავალფეროვნად, ნატიფად და — რაც ყველაზე მთავარი იყო — საოცრად ნება-ნება, აუღელვებლად მოჩოგნავე როჯერმა საჩემპიონო შვიდ მატჩში მხოლოდ ერთი სეტი დათმო, რითაც ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკის 1996 წლის რეკორდი გაიმეორა.

ხოლო ღამაგვირგვინებელ მატჩებში მან პირწმინდად ავლობა ჩოგბურთის ორ ყველაზე ბლაჯუნა მომწოდებელს — ამერიკელ ენდი როდიკს, ვისაც ბეფსონეები ტურნირის მსვლელობისას უდავო ფავორიტად რაცხდნენ, და განუთავავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს, რომელიც საჩოგბურთო მთავარსათაურებს მუხლზე გადატანილი სამი ინპერაციის შემდეგ დაუბრუნდა.

საინტერესო იყო ისიც, რომ როდიკსა და ფილიპუსისს ფედერერმა არც საკუთრივ მათ სათულფე კომპონენტებში დაუდო ტოლი. ასე მაგალითად — მეოთხე წრეში ანდრე აგასისთან 46-ჯერ ჩამეისებელ ავსტრალიელს (და ერთი მატჩის მსვლელობისას ამდენი ეისი აქამდე მხოლოდ გორან ივანიშევიჩს მოექუჩებინა), ფედერერმა 14 გამჭოლი მოწოდების წილ ერთბაშად 21-ჯერ ჩაუეისა.

„ჰო, მან დღეს ყველას დაგვიდასტურა, რომ კორტზე აბსოლუტურად ყველაფრის გაკეთება ძალუძს" — აღიარებდა ნამატჩევს ფილიპუსისი.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, როჯერ ფედერერი გახდა პირველი შვეიცარიელი კაცი, ვინაც რაგინდარა სლემტიტული მოიმკა. ეს მისი მე-9 საკარიერო ჯილდოა და ამ ჯილდომ მისი პირადი ბიუჯეტი 575 ათასი გირვანქით გაზარდა. ფილიპუსისს, შესაბამისად, 267 ათასი გირვანქა ერგო.

შესამჩნევად იმატა ფედერერის საქულე მონაგარმა კაცთა ორსავე რეიტინგსიაში. ჩემპიონთა რბოლაში მან მეოთხე ადგილიდან უმაღლეს პირველზე აინაცვლა და ახლა 545 ქულა აქვს. მეორეზე აქამომდელი მეპირველე ხუან კარლოს ფერეროა (537), მესამე საფეხური კი ანდრე აგასის (472) უპყრია. 12-თვიან მგორავ რეიტინგნუსხაში ფედერერი (3575) კარიერის უმაღლეს, მესამე ადგილს შესწვდა. პირველ-მეორე საფეხურეებზე კვლავაც უბებრესი პირველოსანი ანდრე აგასი (4090) და წლევანდელი მეროლანგაროსე ფერერო (3875) დგანან. ფედერერის უიმბლდონამდელ მეხუთე ადგილზე კი ლეიტონ ჰიუიტი (2945) ჩასრიალდა. ასე დაბლა უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი 2001 წლის აგვისტოს მერე აღარ ჩავარდნილა.

გეხსომებათ — ჰიუიტი წლევანდელი უიმბლდონობის პირველსავე წრეში 208-სანტიმეტრიან ხორვატ ივო კარლოვიჩთან დამარცხდა. ეს ფაქტი და ასევე ამ უიმბლდონობაზე მოაწოდე-მიეძალე ტიპის ზორბა მეჩოგნეთა აშკარა დომინაცია საქმეში ჩახედულმა ხალხმა თავიანთი პროგნოზების სრულ გამართლებად აღიქვა.

აი, რას სწერდა AP-ის ჩოგბურთზე მწერალი სტივ უილსტაინი შარშანდელი ფინალის შემდეგ:

„პიტ სამპრასი ხშირად ორი გეიმის განმავლობაში უფრო მეტ ეისს აწოდებდა, ვიდრე ჰიუიტმა და ნალბანდიანმა კვირას სამი სეტის მანძილზე მოაწოდეს.

ბორონ ბორგი, ჯიმი კონორსი, ანდრე აგასი და ახლა ჰიუიტი — ამ ოთხის გარდა ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე უიმბლდონის მოგება არც ერთ სხვა უკანასკნელს არ მოჰხერხებია.

ისეთი რამ, რომ ფინალში უკანა ხაზიდან მოთამაშე ორი მეჩოგნე დაპირისპირებოდა, ჰიუიტ-ნალბანდიანის შეხლამდე 24-25 წლის განმავლობაში, ბორგისა და კონორსის 1977-78 წლების ფინალთა შემდეგ აღარ მომხდარა.

მოკლედ — უკანა ხაზიდან თამაში ცენტრალურ კორტს დაუბრუნდა.

დაუბრუნდა, მაგრამ როდემდე?

ისტორია გვავარაუდებინებს, რომ ჰიუიტის წლევანდელი წარმატება ანომალია უფროა, ვიდრე კანონზომიერება ანდა ახალი ეპოქის დასაწყისი. თავად განსაჯეთ: კონორსი აქ ბოლოჯერ 1982-ში გაჩემპიონდა, აგასის ზეობა 1992-ზე მოდის, აგასიდან წლევანდლამდე კი უიმბლდონი ვერც ერთმა უკანახაზელმა ვერ მოიგო.

მიზეზი მარტივია — ბალახსაფარი, რომელზეც ბურთი დაბლა და სწრაფად სხლტება, ბრგე, მძლავრად მომწოდებელსა და ბადესთან მიმძალებელ მოთამაშეებს უფრო სწყალობს. და ასე იქნება ყოველთვის...

ასე რომ — უკანა ხაზიდან უიმბლდონის ზედიზედ აოხრება ძალზე ძნელი საქმეა.

წლეულს ჰიუიტმა ეს შეძლო - ოღონდ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მრავალმა მოულოდნელობამ მას უფრო მძლავრ მეტოქეებთან დაპირისპირება აარიდა.

უიმბლდონის მომავალი ალბათ მაინც უფრო ბრგე ბიჭებს ეკუთვნით."

თავადაც ხედავთ — მისტერ უილსტაინი შეუდარებლად მართალი გახლდათ.

თუმცა ლეიტონ ჰიუიტთან ჩვენ სხვა პრეტენზიებიც გვაქვს და, რაკიღა ამაზე ამ ორი კვირის წინ, კარლოვიჩთან მისი ბითური მარცხის შემდეგ ვრცლად ვისაუბრეთ, აღარ შევაყოლებთ.

მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ხუან კარლოს ფერეროცა და როჯერ ფედერერიც ამ სეზონის მსვლელობისას ნიადაგ ამქარში გაპირველებას იქადნიან, კისკასი ოზბიჭი კი, რომელიც მათი დარი ნიჭისა და უფრორე მყარი ფსიქიკის მქონეა, ამქრის პირველობას ჯანის სიმრთელესა და დარდიმანდად ჩოგნაობას არჩევს.

მაგრამ ისტორია გვასწავლის — თუკი პირველობას არ ელტვი, უკანასკნელობისკენ მიისწრაფვი.

საამკვირაო რეიტინგსიათა დინამიკა ამ სიბრძნის მორიგ ჩინებულა ილუსტრაციად გამოდგებოდა...

სხვაფრივ - უილიამს-დების შიდადური სლემფინალი არახალი ამბავია და საჩოგბურთო სამყარომ ამგვარი რამ უკვე მეექვსედ იხილა. წინა ოთხის მსგავსად და სულ პირველისგან განსხვავებით, ამჯერადაც უმცროსმა დაიკომ — უფროსი დის შარშანდელ უიმბლდონურ ფინალშიც დამჩოგნავმა სერენამ იმარჯვა.

ეს ბაყვბაყვდევის მეექვსე სლემტიტული გახლავთ და ნაამტიტულევს მისი მრავალმილიონიანი ქონება მორიგი 535 ათასგირვანქიანი ტრანშით გამდიდრდება.

ოჯახს 267 ათასით შეეწია ვინუსიც, ვინაც უკვე მეოთხე წელია, უიმბლდონობის ფინალში გადის და სანამ დასთან ორ ბოლოს წააგებდა, პირველი ორი საჩემპიონოდ ჩაითამაშა.

სერენასა და ვინუსამდე ღია პირველობათა ერაში ანუ 1968 წლიდან დღემდე უიმბლდონზე მონაგრული ტიტული მეორე წელს მხოლოდ ბილი ჯინ კინგს, მარტინა ნავრატილოვასა და შტეფი გრაფს დაეცვათ...

საერთოდ კი — ქალთა მხარეზე, რუსგოგოთა ლიანგურ ახურუშებას თუ არ გავითვალისწინებთ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო კიდეც. ჩოგანზე ხელი დავიდოთ და, განსაკუთრებულ ეჭვს არც ის იწვევდა, რომ უილიამსები ბელგიელთა სუპერწყვილის წინააღმდეგობას ისევ გატეხავდნენ და ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეეფინალებოდნენ.

თუმცა სერენას მიერ როლანგაროსობის ნახევარფინალში მისი მძლეველის, ციდა ჟუსტინ ენენ-არდენის გაჯორვა მაინც სანიმუშო გამოდგა — კვლავ დადასტურდა, რომ მისი სადიდსლემო გადარბენის შემწყვეტ ევროგოგოს სერენა ისევე აღემატება, როგორც მისი დაიკო — ამის დობილს.

ხოლო ვინუსს რომ კიმ კლაისტერსთან სანახევარფინალო შეხლის დასაწყისშივე მუტლის კუნთი არ დაეჭიმა, ეგებ უფრო საინტერესო ფინალიც გვეხილა. მართალია, ფუმფულა კიმს ვინუსი მუცელმტკივანიც ეყო, მაგრამ დის აუწონავი ჯანის ასალაგმად საკმარისი ილაჯი კი ველარ მოიძია.

ერთი სიტყვით, შავდა უილიამსების დომინაციის ჯერ მაინც არაფერი ემუქრება, თუმცა უკანასკნელ 16-ეულში 5 რუსგოგო მაინც ბევრია და რუსული ჩოგბურთის მამამძუძე შამილ ტარპიშჩევიც უკვე აბაქიბუქდა, გაისად უკვე რომელიმე ჩვენიანის დროც იქნებაო.

მანამდე რუსებს ჩოგნები არ აუდგეთ, სანამ ლონდონურ სეფეკოინდარზე რომელიმე რუსგოგო გადედოფლდებოდეს. თუმცა, მარია შარაპოვა-ანა კურნიკოვაზე უფრო ჩოგბურთელი ჩანს და - ბოლო-ბოლო - რა იცი, რა ხდება.

მთავარი ის არის, რომ 46 წლის მარტინა ნავრატილოვას კვლავაც არ ამოუყორავს თავისი სლემზარდახშა და ინდოელ ლეანდერ პაესთან შეწყვილებულმა კარიერის მე-20 უიმბლდონური ტიტული მოირეწა.

ამდენი იქაური ჯილდო აქამდე მხოლოდ ლეგენდარულსავე ბილი-ჯინ კინგს დაეკვეხოდა და, სხვათა შორის, თავისი სარეკორდო ტიტული კინგს იქ შორეულ 1979-ში სწორედ ნავრატილოვასთან ერთად მოეგო!

ეს დიადი ლესბოსელის 58-ე სლემტიტულია და ის ახლა ოთხითღა ჩამორჩება 62 სლემტიტულის მფლობელ დიად ავსტრალიელ მარგარეტ კორტს.

და კიდევ — ნავრატილოვა აქამდეც უხუცესი მესლემტიტულე გახლდათ და თუ გავითვალისწინებთ, რომ 46 წელთან ერთად მას უკვე 261 დღეც უცხოვრია, ვინძლო, მისმა საუხუცესო რეკორდმა მეორედ მოსვლამდე გასტანოს.

ლევან კილაურაძე

წყვილები

კაცები

იონას ბიორკმანი (შვედეთი), ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი), მაჭს მირნი (ბელარუსი) 3:6, 6:3, 7:6 (7:4), 6:3

ქალები

კიმ კლაისტერსი (ბელგია), აი სუგიამა (იაპონია) — ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი), პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:4, 6:4

შერეული

ლეანდერ პაესი (ინდოეთი), მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — ენდი რამი (ისრაელი), ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:3, 6:3

ფორმულა 1. 54-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეათე ეტაპი

ეს რალფიც კაი შუმახერია!

საფრანგეთი ავტორბოლის სამშობლოდ ითვლება. სწორედ იქ მოეწყო საუკუნეზე მეტი ხნის წინ (1894) ზეისტორიული გარბოლება პარიზიდან რუანამდე 126-კილომეტრიან გზაზე, ხოლო 1906 წელს ლე მანის მახლობლად „დიდ პრიზად" წოდებული პირველი შეჯიბრებაც ჩატარდა. ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატების კალენდარში ფრანგული ეტაპი 1950 წლიდან, პირველივე სეზონიდანაა და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ (1955) გაცდა.

ასეთ ავტოისტორიულ ქვეყანას თუნდაც ერთი ეპოქალური რეკორდი როგორ არ უნდა ჰქონოდა. ჰოდა, შარშან „მანი კურზე" დამყარდა ისეთი მიღწევა, რომლის გაუმჯობესებაც წარმოუდგენელია: მიხაელ შუმახერმა თავისი მეხუთე საჩემპიონო ტიტული სეზონის ფინალამდე ექვსი (!) ეტაპით ადრე გაინაღდა.

გუშინწინდელ რბოლაშიც უმთავრეს ფავორიტად „მანი კურის" ექვსგზის გამარჯვებული მიხაელი ითვლებოდა, მის უმთავრეს მეტოქეებად კი ბოლო ერთ თვეში ორი ეტაპის მომგები უილიამსელები — ხუან-პაბლო მონტოია და რალფ შუმახერი. ცხადია, ამბიციები არ აკლდა მაკლარენელ კიმი რაიკონენსაც, რომელიც თანდათან კი თმობს პოზიციებს, მაგრამ სატურნირო ცხრილში ჯერაც „წითელი ბარონის" უახლოეს კონკურენტად რჩება.

1991 წელს აგებული ულტრათანამედროვე „მანი კური" ყველაზე უსაფრთხო საფორმულო ტრასად ითვლება. თუმც სწორედ გამორჩეული უხიფათობის გამო იქაურ იდეალურად სწორ ასფალტზე რბოლები ინტრიგას მოკლებულია. კვირას, სამანიკურო ფრანგული ეტაპიც შარშანდელივით ერთფეროვანი, ოდნავ მოსაწყენიც კი გამოდგა, თუმც სარბოლო სამდღიურში სანერვიულო ამბები მაინც მოხდა.

კვალიფიკაციის წინ საფრანგეთის სასამართლომ BAR-ის ქონება, ესე იგი, ბოლიდები „დააპატიმრა", აქაოდა, გუნდს მონაკოელ სპონსორთა სამი მილიონი დოლარი მართებსო. ბოლოს და ბოლოს, ინციდენტი კი მოგვარდა და ჟაკ ვილნევსა და ჯენსონ ბატონს გაჯირითების ნება დართეს, რაკი სასამართლოს სანქცია უმართებულო ყოფილა, მაგრამ მომხდარმა ბარელთა პერსონალი, ცხადია, გვარიანად ააფორიაქა.

მეორე უსიამოვნება წინასწარი კვალიფიკაციისას მოხდა. ჯასტინ უილსონის „მინარდი" საპოულე სესიის შემდგომი სავალდებულო აწონვისას დადგენილ 600 კილოგრამზე (მრბოლთან ერთად) 2,5 კგ-ით მსუბუქი აღმოჩნდა, რის გამოც ბრიტანელის შედეგი — მეორე ადგილი — გაუქმდა და შაბათს ძირითად კვალიფიკაციაში ყველაზე ადრე მოუწია ტრასაზე გასვლა.

უშუალოდ რბოლაში კი კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. დევიდ კულჰარდის „მაკლარენის" ბოქსებში მორიგი სტუმრობისას საწვავის ჩასასხმელი ავტომატი მოიშალა და მექანიკოსებს მეორე აგრეგატის გამოყენება მოუხდათ, რამაც უამრავი დრო, თითქმის 20 წამი წაიღო. ეს კიდევ არაფერი: მექანიკოსთა შეუთანხმებელი ქმედების მიზეზით შოტლანდიელმა მანქანა ჩადგმული აგრეგატით დაძრა, ორივე მებენზინე თავიანთ შლანგიანად თან გაიყოლა და წაკოტრიალებულები კინაღამ გაჭყლიტა. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამან კულჰარდს მესამე ადგილი დააკარგვინა.



დევიდ კულჰარდმა კინაღამ უბედურება დაატრიალა

რბოლაზე სათქმელი ბევრი არაფერია. წლეულს უკვე მესამე პოულის მომგებ რალფ შუმახერს ფინიშამდე ერთხელაც არ დაუთმია ლიდერობა, რაც საერთოდ მეტად იშვიათად ხდება. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მისთვის უსწრაფესი წრე თანაგუნდელ ხუანს რომ არ „წაერთმია", პატარა შუმი აბსოლუტურ გამარჯვებას იზეიმებდა, ანუ საფორმულო „დიდ სლემს" შეასრულებდა.

მეორე სასტარტო პოზიციაზე მდგომმა მონტოიამ რბოლის დაწყებისთანავე შუა გზისკენ გაიწია და ოდნავ შეაფერხა მის უკან მავალი მიხაელი, რითაც მშვენივრად ისარგებლა უსწრაფესად დაძრულმა რაიკონენმა და შუმის პირველ მოსახვევში შეასწრო. ბარიკელოს პირველივე წრეზე ფინიშისწინა მოსახვევში მოუსრიალდა ბოლიდი და მართალია, არაფრისთვის მიუჯახებია, ბოლო, მეოცე პოზიციაზე გადავარდა. ასეთი უხეირობის მიუხედავად, რუბინიომ ყოჩაღად ირბოლა და ფინიშთან მეშვიდე მივიდა.

თავიდან დაწინაურებულ რვიანში — რალფი, მონტოია, რაიკონენი, მიხაელი, კულჰარდი, ტრული, ალონსო, ვებერი — პირველი გადაადგილება პირველი პიტსტოპის შემდეგ მოხდა, როცა უფროსი შუმახერი კულჰარდის უკან აღმოჩნდა. მეორე საბოქსე შეყოვნებას ლიდერთა შორის ცვლილება არ მოჰყოლია, მესამეს დროს კი, როცა ფინიშამდე ასიოდე კილომეტრიღა რჩებოდა, მიხაელი გვიანი და სწრაფი (7,4 წამი) პიტსტოპის ხარჯზე ტრასას მესამე დაუბრუნდა რაიკონენის და კულჰარდის წინ. მეწინავე ხუთეულმა რბოლა ისეთივე თანმიმდევრობით დაასრულა, როგორც დაიწყო.



რალფ შუმახერი მეექვსე მოგებას ასველებს

28 წლის რალფ შუმახერმა დიდოსტატურად წარმართა საათნახევრიანი ასპარეზობა და თავის 110-ე რბოლაში მეექვსე დიდი პრიზი მოიპოვა, ამასთან, პირველად პოულიდან. ეს პატარა შუმის ზედიზედ მეათე ქულებიანი ფინიში გახლავთ და თუ ასე გააგრძელა, მალე ძმას ეგებ საჩემპიონოდაც შეუტიოს. მიყოლებით სამი პოდიუმის შემდეგად იგი სულ რაღაც სამი ქულითღა ჩამორჩება რაიკონენს. იგივე ვითარებაა გუნდურ, ანუ კონსტრუქტორთა ჩათვლაშიც, ზედიზედ მეორე დუბლით „უილიამსმა" ფერარელებთან ჩამორჩენა იმდენივე, სულ რაღაც სამიოდე ქულამდე შეამცირა.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

საფრანგეთის დიდი პრიზი
6 ივლისი, ნევერი
დისტანცია — 70 წრე — 308,584 კმ

1.	(1)	რ.შუმახერი (უილიამსი)	1:30.49,213 (203,9 კმ/სთ)
2.	(2)	მონტოია (უილიამსი)	ჩამორჩა 13,813
3.	(3)	მ.შუმახერი (ფერარი)	19,568
4.	(4)	რაიკონენი (მაკლარენი)	38,047
5.	(5)	კულჰარდი (მაკლარენი)	40,289
6.	(9)	ვებერი (იაგუარი)	1:06,380
7.	(8)	ბარიკელო (ფერარი)	1 წრით
8.	(10)	პანი (ტოიოტა)	1 წრით
9.	(12)	ვილნევი (B.A.R)	1 წრით
10.	(11)	პიცონია (იაგუარი)	1 წრით
11.	(13)	და მატა (ტოიოტა)	1 წრით
12.	(16)	ფრენცენი (ზაუბერი)	2 წრით
13.	(15)	ჰაიდფელდი (ზაუბერი)	2 წრით
14.	(20)	უილსონი (მინარდი)	3 წრით
15.	(18)	ფირმენი (ჯორდანი)	3 წრით
16.	(19)	ფერსტაპენი (მინარდი)	4 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(6)	ტრული (რენო)	გაიარა 46 წრე
(7)	ალონსო (რენო)	44
(17)	ფიზიკელა (ჯორდანი)	43
(14)	ბატონი (B.A.R)	22

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
რ.შუმახერი 1:15,019 (211,7 კმ/სთ)

საუკეთესო წრე
მონტოია 1:15,512 (210,3 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

	ავსტრალია 9 მარტი	მალაიზია 23 მარტი	ბრაზილია 6 აპრილი	სან მარინო 20 აპრილი	ესპანეთი 4 მაისი	ავსტრია 18 მაისი	მონაკო 1 ივნისი	კანადა 15 ივნისი	ევროპა 29 ივნისი	საფრანგეთი 6 ივლისი	დ.ბრიტანეთი 20 ივლისი	გერმანია 3 აგვისტო	უნგრეთი 24 აგვისტო	იტალია 14 სექტემბ.	აშშ 28 სექტემბ.	იაპონია 12 ოქტომბ.	ჯამი
1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია	5	3	–	10	10	10	6	10	4	6							64
2 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი	6	10	8	8	–	8	8	3	–	5							56
3 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია	1	5	2	5	4	3	5	8	10	10							53
4 მონტოია უილიამსი, კოლუმბია	8	–	–	2	5	–	10	6	8	8							47
5 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია	–	8	–	6	6	6	1	4	6	2							39
6 ალონსო რენო, ესპანეთი	2	6	6	3	8	–	4	5	5	–							39
7 კულჰარდი მაკლარენი, დ.ბრიტანეთი	10	–	5	4	–	4	2	–	–	4							29
8 ტრული რენო, იტალია	4	4	1	–	–	1	3	–	–	–							13
9 ვებერი იაგუარი, ავსტრალია	–	–	–	–	2	2	–	2	3	3							12
10 ფიზიკელა ჯორდანი, იტალია	–	–	10	–	–	–	–	–	–	–							10

ბატონი (B.A.R) — 10; ფრენცენი (ზაუბერი) — 7; ვილნევი (B.A.R), და მატა (ტოიოტა) — 3; ჰაიდფელდი (ზაუბერი), პანი (ტოიოტა) — 2; ფირმენი (ჯორდანი), — 1 ქულა

	ავსტრალია	მალაიზია	ბრაზილია	სან მარინო	ესპანეთი	ავსტრია	მონაკო	კანადა	ევროპა	საფრანგეთი	დ.ბრიტანეთი	გერმანია	უნგრეთი	იტალია	აშშ	იაპონია	ჯამი
1 ფერარი	5	11	–	16	16	16	7	14	10	8							103
2 უილიამსი	9	5	2	7	9	3	15	14	18	18							100
3 მაკლარენი	16	10	13	12	–	12	10	3	–	9							85
4 რენო	6	10	7	3	8	1	7	5	5	–							52
5 B.A.R	–	2	3	1	–	5	–	–	2	–							13

იაგუარი — 12, ჯორდანი — 11, ზაუბერი — 9, ტოიოტა — 5 ქულა



REUTERS კალგარიდან

კალგარი

კალგარი კოვბოების სამშობლოდ ითვლება, იქ გამოჩენილი ჩაუქობა განსაკუთრებით ფასობს. ათდღიან შეჯიბრზე თავი მოუყრია მთელი კოვბოობის ნარჩევ ჯეელობას და ხარცხენთა დათრგუნვაში ეჯიბრება ერთმანეთს. სურათები კი ასეთია: აიდაჰოელი ტაილერ კროკეტი ხარ „ყვითელი ქურთუკის“ ზურგიდან მიფრინავს, დუგ ტკაჩი კი უხედნავი „ქოქოსის“ უნაგირიდან. მოგეხსენებათ, მთავარია დრო, რომელსაც კოვბოი პირუტყვის ზურგზე დაჰყოფს.

შეჯიბრი დაიწყო

მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში კროსით დაიწყო მრავალსახეობიანი შეჯიბრი, რომლის მონაწილეებმაც უნდა გამოავლინონ სისწრაფე, გუნდური გონიერება და ხასიათის სიმტკიცე. შეჯიბრში 150 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. პეტრონასის ტყუპი ცათამბჯენი კი კუალა ლუმპურის ხედის განუყრელი ნაწილია.

REUTERS კუალა ლუმპურიდან

REUTERS ლონდონიდან

სახემბი უიმბლდონზე



REUTERS ლონდონიდან

უიმბლდონის ფინალებს, ცხადია, ბევრი ცნობილი ვინმე დაესწრო. პრემიერ-მინისტრის მეუღლე ჩერი ბლერი თამაშის საცქერად კულტურის მინისტრ (მდივან) ტესა ჯოელთან ერთად მისულიყო, ესენი კაცთა ფინალით დატკბნენ, სერ ალექს ფერგიუსონმა კი დები უილიამსების საცქერად მოიცალა. სერ ალექსის უკან კი უიმბლდონის ძველი ჩემპიონი ვირჯინია ვაიდი ზის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 26 დეკემბრიდან
გამოდის საშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარტალიანი, ჰაატა კვინტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, ვ ორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღვედაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge